# საქართველოს რესპუბლიკა



იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდვითი სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბურთის გატანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.


დაარსებულია 1918 წელს.

სამშაბათი, 5 მაისი, 2009 წელი.

№ 88 (6189)

ელექტრონული ფოსტა: sakresp@ayety.ge

ვებ გვერდი: www.open.ge/sakartvelos-respublika

ფასი 50 თეთრი.


## მოძღაურობა საკნების ქალაქში




3

## 2 VIVA, დამარცხებულო!

## კავკასია 8 უპოლიტიკოდ

## 6 ქვეყანაში იდეოლოგიური, ინტელექტუალური რესურსისა და პოლიტიკური აზროვნების კრიზისია

## არ აჰყვეთ პროვოკაციებს, 3 არავითარ შემთხვევაში არ მიმართოთ ძალადობას!

## „პადოშ“, „პადოშ“, შენსა მზესა, გააფრინე კვირა დღესა? 4




## ზურაბ ნოღაიდელი:

## ვაის რომ გავექცევით, უის არ უნდა შევეყაროთ!




5

ტერიტორიების დამკარგავმა ვერც ერთმა ხელისუფალმა ვერსად თანამდებობა ვერ შეინარჩუნა და ვერც მიხეილ სააკაშვილი შეინარჩუნებს

### დღის ხუმრობა

ხალხით სავსე ავტობუსში ორ-სამჯერ უნდა დააცემინო ცხვირი და გაყვებრად ჩაიბურტყუნო: „კისერიც მომტყდეს და ფეხიც, თუ აწი კიდევ ჩავიდე იმ სა-ლოროთ მექსიკაში“...

ინფორმაცია

## სააკაშვილს 72-საათიან ვადას აძლევენ

**დღეიდან ოპოზიცია თბილისის შემოსასვლელებისა და ცენტრალური ტრასების პიკეტირებას იწყებს, რომელიც გამაფრთხილებელი ხასიათის იქნება.**

**ამის შესახებ საზოგადოებრივ მაუწყებელთან გამართულ ბრიფინგზე „ეროვნული ფორუმის“ ერთ-ერთმა ლიდერმა გუბაზ სანიკიძემ განაცხადა.**

5 მაისს, 16-დან 17 საათამდე გაიმართება ავტომობილებით თბილისის შემოსასვლელების პიკეტირება. კერძოდ, პიკეტირება მოეწყობა ნატახტრის ტეკთან, კახეთის გზატკეცილზე, გომბორის ტეკთან და რუსთავი-მარნეულის გზაგასაყარ მოედანზე. 8 მაისს კი გაიმართება პიკეტირება რეგიონების ცენტრალურ ტრასებზე.

სააკაშვილს მიეცემა 72-საათიანი ვადა, რათა დააკმაყოფილოს ხალხის ნება გადადგომის თაობაზე და დაიწყოს ოპოზიციასთან დიალოგი ხელისუფლების მშვიდობიანად და კონსტიტუციურად გადაბარების საკითხებზე. მოთხოვნის შეუსრულებლობის შემთხვევაში, 11 მაისს ცენტრალურ ტრასაზე მოეწყობა ავტომობილებით პიკეტირება, პიკეტირების ადგილები კი 10 მაისს გამოცხადდება, – ნათქვამია 9 აპრილის საორგანიზაციო შტაბის განცხადებაში, რომელიც გუბაზ სანიკიძემ წაიკითხა.

როგორც განცხადებაშია აღნიშნული, ეს გადაწყვეტილება შტაბმა იმის გამო მიიღო, რომ ხელისუფლებამ ყურად არ იღო ხალხის მოთხოვნა.

ერთი თვის მანძილზე ასეულ ათასობით ჩვენმა მოქალაქემ დააფიქსირა ნება მიხეილ სააკაშვილის უპირობო გადადგომის შესახებ, თუმცა ხელისუფლებამ აჩვენა, რომ არ აქვს უნარი, საზოგადოებას შექმნილი კრიზისიდან რაიმე გამოსავალი შესთავაზოს. პრეზიდენტმა, პარლამენტმა და მთავრობამ საერთოდ შეაჩერეს თავიანთი ფუნქციონირება, – განაცხადა გუბაზ სანიკიძემ.

### პატრიარქი მოსკოვში ვიზიტს არ გეგმავს

**სრულიად საქართველოს კათოლიკოს პატრიარქი, უწმინდესი და უნეტარესი, მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსი ილია II რუსეთის ფედერაციაში გამგზავრებას არ აპირებს. ამის შესახებ საქართველოს საპატრიაქოს პრესსამსახურის უფროსმა მამა დავით შარაშენიძემ განაცხადა.**

შარაშენიძემ პატრიარქის მოსკოვში გამგზავრებასთან დაკავშირებით გავრცელებულ ინფორმაციას დეზინფორმაცია უწოდა.

### სირცხვილის დერეფანი საზოგადოებრივ მაუწყებელთან



**საზოგადოებრივი მაუწყებლის ოთხივე შესასვლელთან ოპოზიციის აქტივისტები 09.00 საათიდან იყვნენ მობილიზებული.**

**ისინი იდგნენ საზოგადოებრივი მაუწყებლის ასასვლელთან, რომელიც მდებარეობს ზოოპარკის მხრიდან. ასევე ხილიანის ქუჩის მხრიდან არსებულ შესასვლელთან.**

რაც შეეხება ცენტრალურ შესასვლელს, იგი ბლოკირებული იყო. ოპოზიციის ახალგაზრდა აქტივისტებს გაკეთებული ჰქონდათ ჯაჭვი და თანამშრომლებს ამისამართებდნენ საზოგადოებრივი მაუწყებლის მარცხენა შესასვლელისკენ, საიდანაც შენობაში მხოლოდ საკნის გავლით ხვდებოდნენ.

რაიმე მნიშვნელოვანი ინციდენტი პიკეტირების დროს არ დაფიქსირებულა. იყო მხოლოდ რამდენიმე შელაპარაკება აქციის მონაწილეებსა და საზოგადოებრივი მაუწყებლის თანამშრომლებს შორის. დაფიქსირდა რამდენიმე შემთხვევა, როდესაც მაუწყებლის თანამშრომლებს შესვლა სურდათ ცენტრალური შესასვლელიდან, თუმცა ამის გაკეთება საყვირებისა და შეძახილების თანხლებით მოუხდათ. აქციის მონაწილეებმა ისინი მარცხენა შესასვლელისკენ გაუშვეს. მათ შორის იყო საზოგადოებრივი რადიოს ხელმძღვანელი თინა იზორიაც.

### ცხრა მაისი ახალ ცხრა აპრილად იქცევა?

**ოპოზიცია აქციების „ახალ 9 აპრილს“, სავარაუდოდ, 9 მაისს მოაწყობს.**

როგორც „საქართველოს გზის“ ლიდერმა სალომე ზურაბიშვილმა გუშინ განაცხადა, მიმდინარე აქციებით ოპოზიციამ შედეგს, პრაქტიკულად, ნახევრად მიაღწია, რადგან, მისივე თქმით, მიხეილ სააკაშვილი არის ვირტუალური პრეზიდენტი, ჩანს მხოლოდ ეკრანზე.

პროტესტი არსებობს, არ შესუსტებულა და ამის საჩვენებლად იგეგმება კიდევ ერთი პიკის მოწყობა, – აღნიშნა ოპოზიციის ერთ-ერთმა ლიდერმა.

თუმცა, ზურაბიშვილის ინფორმაციით, კონკრეტული თარილი ჯერ ცნობილი არ არის და სრულიად შესაძლებელია, ეს დაემთხვეს აქციების დაწყების ერთი თვის თავს, ანუ 9 მაისს.

**ინტერპრესნიუსი, ჯი-ეიჩ-ენი**

კვირის მიმოხილვა

# VIVA, დამარცხებულო!

როგორც იქნა, შეგვიძლია გავიხაროთ, რომ გასულ კვირაში ახალი არაფერი მომხდარა – ქვეყანაში შექმნილი ვითარება ძველებურად „სტაბილურად დაძაბული“ იყო.

კვირა დაიწყო იმით, რომ პრეზიდენტი სააკაშვილი დაუპატიჟებელი ოფიციალური ვიზიტით ჩავიდა სოფიაში, ევროკავშირის ქვეყნების ენერგეტიკის მინისტრების შეხვედრაზე, რომელსაც დამკვირვებლის სტატუსით ჩვენი მინისტრი ხეთაგურიც ესწრებოდა, თბილისში ამბავი უნდა ჩამოეტანა. ეტყობა, ბატონი პრეზიდენტი ამაში მას ვერ ენდო და ბულგარეთის სამიტს პირადად ესტუმრა.

ყველაფერი კეთილად დამთავრდებოდა, მაგრამ ოპონენტების ყიჟინისგან (წადი, წადი!..) და ბულგარული შთაბეჭდილებებისაგან დაღლილმა შინისკენ მომავალმა პრეზიდენტმა გზად ხმელთაშუა ზღვის კურორტ ბოდრუმში შეიარა. ასეთი დაუგეგმავი ვოიაჟები (ალპები, მონაკო, ესპანეთი, უკრაინა, პარიზი, სიღნაღი...) პრეზიდენტისგან არავის უკვირს (ახალგაზრდა კაცია, გაიხაროს!), თუმცა, ამჯერად დიდი აჟიოტაჟი ატყდა და სააკაშვილმა სასწრაფოდ თბილისს მოაშურა. ოპოზიცია „დე ფაქტო პრეზიდენტის“ უსაქციელობაზე კიდევ ერთხელ ალაპარაკდა.

უცნაური ხალხია ეს ქართველები – მეგობარი ქალბატონები კაცს უცხოეთიდან ჩამოჰყავს? – არ შეიძლებაო; ადგილობრივი რესურსებით სარგებლობს? – არ შეიძლებაო; მაშ, რა ჰქნას ბიჭმა, თანაც, პრეზიდენტმა?

სააკაშვილის პრესტიჟის გადარჩენა, პარლამენტის მარად გაბადრულმა თავმჯდომარემ დავით ბაქრაძემ სცადა, პრეზიდენტი კურორტზე არ ყოფილაო, მაგრამ ამით მხოლოდ ცეცხლზე ნავთის დამატება გამოუვიდა. ახლა ხომ XXI საუკუნეა და პრეზიდენტების ამგვარი ცელქობანი შეუმჩნეველი არ რჩება.

ამასობაში დიდი ქრისტიანული დღესასწაული, მონანიების დღეც დადგა. ხელისუფლებაც და ოპოზიციაც ერთხმად გვარწმუნებდნენ, რომ ცოდვებს მოინანიებდნენ, განიწმინდებოდნენ და მტერ-მოყვრის უანგარო სიყვარულით აღივსებოდნენ. მით უფრო, ამისკენ მოგვიწოდებდა და ამის მაგალითს იძლეოდა მისი უწმინდესობა, საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია II. მან ბრძანა კიდეც, რომ სწორედ იგია პირველი ცოდვილი და ღმერთს და კაცს პატიება სთხოვა.

სხვათა შორის, ძალიან ბევრი მორწმუნე ფიქრობდა, კათოლიკოს-პატრიარქის მოწოდებით შთაგონებულმა პრეზიდენტმა იქნებ ცოდვები მოინანიოს, ღმერთს და მშობელ ხალხს შენდობა სთხოვოს და საკუთარი სულის გადასარჩენად პოსტიდან გადადგომა გამოაცხადოსო.

ამ იმედით, თბილისის სამების ტაძარში მისი მგზნებარე გამოსვლისას, ბევრ სკეპტიკოსსაც კი თვალზე ცრემლი მოადგა. განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც პრეზიდენტი სააკაშვილი მის ერთ-ერთ ყველაზე სერიოზულ მეტოქეს ირაკლი ალასანიას ჯიქურ მიეჭრა, ხელი ჩამოართვა და გულთბილად მოიკითხა.



სასწაული, რა თქმა უნდა, არ მოხდა. სამების ტაძარში პრეზიდენტის სენტიმენტალური გამოსვლა ნაცნობი პიარ-კამპანიის ნაწილი აღმოჩნდა. ტაძრიდან გამოსულმა ცრემლი მოიწმინდა, ხუთწუთიან სამთავრობო სხდომას უხელმძღვანელა, შინაური საქმეები გაარიგა და... ვარშავას გაფრინდა.

მოკლედ, ყველა და ყველაფერი თავის ადგილზე დარჩა: „უცნობი“ – საკანში, საკნები – ქალაქში, ლიდერები – ტრიბუნებზე, ხალხი – მიტინგებზე, დაპირებები – ქაღალდზე, პრეზიდენტი – ჰაერში, თორთლაძე – ოპოზიციაში...

აზრი და სტრატეგია არც დედაქალაქის მერს, ბატონ უგულავას შეუცვლია – იგი კვლავ რჩება მოპროტესტე ოპოზიციის წინააღმდეგ გამოუცხადებელი „ნეხვის ომის“ მთავარ სტრატეგოსად. თავისუფლების მოედანზე განლაგებული „საკნების“ ნეხვით სავსე პარკებით დაბომბვისა და მომიტინგეთა დისლოკაციის ადგილების დასუფთავებაზე შეთანხმების შემდეგ, ბატონმა მერმა ნაგვის გატანაზე კატეგორიული უარი განაცხადა. ოპოზიციის მხრიდან ამას მოჰყვა საპასუხო რეაქცია – მერიის შენობის წინ ტონობით საყოფაცხოვრებო ნაგვის დაყრა.

ტოტალური ომის ამ ფრონტზე, ჯერჯერობით, რომელიმე მხარის შესამჩნევ წარმატებებზე საუბარი ნაადრევია.

გასულ კვირაში, ლოკალური შეტაკებები გრძელდებოდა საზოგადოებრივი მაუწყებლის მისადგომებთან. პოლიციამ სასწრაფოდ დაადგინა იმ პირის ვინაობა, ვინც, თურმე, ინტერნეტით მუქარის წერილი გაუგზავნა მაუწყებლის გენერალურ დირექტორს ლევან ყუბანეიშვილს. წერილის ავტორის „შემოქმედება“ ჟურნალისტურ მოღვაწეობაში ხელის შეშლად შეფასდა. ცოტა გაუგებარი კია, როგორ უნდა შეუშალოს კაცმა ხელი ყუბანეიშვილს იმ საქმეში, რომელსაც ყუბანეიშვილი არ აკეთებს, მაგრამ კანონი კანონია!

პოლიციის ამგვარმა თავგამოდებამ პროტესტის ახალი ტალღა გამოიწვია და მომიტინგეებმა საზოგადოებრივი მაუწყებლის შენობა ჯერ სრულ ბლოკადაში მოაქციეს, მერე კვერცხები დაუშინეს (ადგილობრივი პომიდორი ჯერ არ შემოსულა, თურქული კი ისე მაგარია, შეიძლება, „ბლაგვ საგნად“ ჩაითვალოს. თან, ძვირიც ღირს).

პარალელურად, პოლიციამ ერთ-ერთ საკანში „შემთხვევით აღმოაჩინა“, ფარული კამერით გადაიღო და თავისივე ტელეარხებით გაავრცელა კრიმინალური სიუჟეტი, სადაც ერთი ძველი ნარკომანი თან შპრიცით ნარკოტიკს იკეთებს, თან დიდი ენთუზიაზმით ჰყვება, რომ ნინო ბურჯანაძის პარტიის წევრია.

პოლიტიკა პოლიტიკად, მაგრამ როგორც ჩვენმა ჯანმრთელობის სამინისტრომ გვამცნო, მექსიკიდან ელვის სისწრაფით გვიახლოვდება ახალი სასტიკი განსაცდელი (საყვარელი ტელესერიალი არ გეგონოთ!) – ღორის გრიპი.

იხ. 4 გვ.

პრეზიდენტი

## ვიზიტ-ვიზიტ დაფრინავ და...

**პრაღაში 7 მაისს ევროკავშირის სამიტი გაიხსნება, რომელშიც მონაწილეობას მიიღებენ საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი, საგარეო საქმეთა მინისტრი გრიგოლ ვაშაძე და სახელმწიფო მინისტრი ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში გიორგი ბარამიძე.**



ევროკავშირის სამიტი ევროპის აღმოსავლეთ პარტნიორობის ინიციატივას მიეძღვნება. სამიტზე მოხდება აღმოსავლეთ პარტნიორობის ინიციატივის ინაუგურაციაც.

8 მაისს პრაღაშივე გაიმართება ევროკავშირის სპეციალური სამიტი, რომელიც ენერგეტიკულ საკითხებს მიეძღვნება.

საქართველოს პრეზიდენტი, საგარეო და სახელმწიფო მინისტრები ამ სამიტშიც მიიღებენ მონაწილეობას.

**ინტერპრესნიუსი**

პოზიცია

## მანჯგალაძემ „სამოთხის ვაშლები“ მიატოვა



**საზოგადოებრივი მაუწყებლის გადაცემა „სამოთხის ვაშლები“ გუშინ ერთ-ერთი წამყვანის, რუსუდან მანჯგალაძის გარეშე გავიდა ეთერში.**

მანჯგალაძის მიერ გადაცემის დატოვების შესახებ ინფორმაცია ოპოზიციის ერთ-ერთ აქციაზე გახდა ცნობილი.

მოგვიანებით, რუსუდან მანჯგალაძემ აღნიშნული ინფორმაცია დაადასტურა და აღნიშნა, რომ შექმნილ ვითარებაში ეს მისი მხრიდან საუკეთესო გადაწყვეტილება იყო.

**ინტერპრესნიუსი**

**სტუდენტთა თვალით**

***ჩვენ თბილისის პოლიტიკური აკადემიის მეოთხე კურსელები ვართ, მომავალი ჟურნალისტები. ეს ჩვენი პირველი სერიოზული დავალებაა. ვღელავთ. თეორიულმა მეცადინეობებმა, სასწავლო დავალებებმა, აკადემიის გაზეთმა, რა თქმა უნდა, რაღაც გამოცდილება შეგვძინა, მაგრამ როგორც ჩვენი პედაგოგები ამბობენ, „ბავშობა მთავრდება გაზეთის რედაქციის ზღურბლის გადაბიჯებისთანავე.“ მით უფრო, თუ ეს გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკაა“ — დიდი და საინტერესო ისტორიის მქონე გამოცემა.***

***რედაქციაში, რომ ველოდით, იმაზე მეტად თბილად მიგვიღეს. ეტყობა, ამ გამობრძმედილმა, მრავლისმნახველმა ადამიანებმა, ერთმანეთს „ბიჭებს,“ რომ უწოდებენ, უცებ დაინახეს ახალგაზრდების შიში და მოკრძალება და ჩვენი გამხნევება გადაწყვიტეს.***

***რედაქტორის დავალება ასეთია: უნდა წავიდეთ რუსთაველის პროსპექტზე, დავაკვირდეთ იქ მიმდინარე მოვლენებს, გავესაუბროთ ქუჩაში პროტესტის გამო გამოსულ ადამიანებს, მათ ოპონენტებსაც და საკუთარი შეხედულებების ჩამოყალიბება ვცადოთ.***

***რედაქციის ხელმძღვანელობა ამბობს, რომ ეს არ არის რთული დავალება და ჩვენ მას წარმატებით გავართმევთ თავს. დრო ცოტა გვაქვს — 3 დღე. შეუსრულებლობისთვის არავითარი არგუმენტი არ მიიღება. მოკლედ, ჩვენი ჟურნალისტური კარიერა „საქართველოს რესპუბლიკაში,“ შესაძლოა, ისე დასრულდეს, რომ არც დაიწყოს.***

# მოგზაურობა საკნების ქალაქში

### ჩვენ

**როგორც მოგახსენეთ, ჩვენ თბილისის პოლიტიკური აკადემიის სტუდენტები ვართ — დამოუკიდებელი საქართველოს პირველი თაობა.. ჩვენ ვართ სწორედ ის თაობა, ვისაც საქართველოს დამოუკიდებლობისთვის მებრძოლი ჩვენი მამა-პაპა და თანამედროვენიც ნათელ მომავალს ჰპირდებოდნენ და ჯერჯერობით მხოლოდ გაჭირვება, უსამართლობა, შიში და ბუნდოვანი მომავლის გრძნობა მოუტანეს.**

ჩვენ არ გვახსოვს საბჭოთა კავშირის დაშლა, დამოუკიდებლობის მიღებით მოგვრილი სიხარული და მერე საქართველოს პირველი პრეზიდენტის მართველობის წინააღმდეგ გამართული აქციების სამოქალაქო ომში გადაზრდის პროცესი. არ გვახსოვს იმდროინდელი „კარავთა ქალაქი,“ ავტომატების კაკანი და ქვემეხების გრუხუნი აქ, რუსთაველის გამზირზე. არც მტყუან-მართლის გარჩევას ვაპირებთ, მაგრამ მაშინ განვითარებული მოვლენები რომ ძალუმად აისახა ჩვენს ცხოვრებაზე, ამის უთქმელობა არ ივარგებს. აგერ, თითქმის 20 წელიწადია, არ წყდება დავაკამათი ქართული ხელისუფლებების ავ-კარგიანობაზე. ყოველი მომდევნო ხელისუფლება წინას მიუტევებელ შეცდომებზე და დანაშაულებზე ლაპარაკობს, საკუთარ წარუმატებლობას წინამორბედებს აბრალებს და „ნათელი მომავლის,“ „გაბრწყინებული საქართველოს“ დადგომას უფრო და უფრო შორეულ პერსპექტივაში სწევს.

ყოველი ახალი ხელისუფლება სასწრაფოდ ივიწყებს, რომ თავიდან ყველაფერს ხალხის საკეთილდღეოდ აკეთებდა. ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ კი ეს კეთილშობილური განზრახულობანი უკვალოდ ქრებოდა.

როგორც ჩანს, ამ მხრივ, დღევანდელი ხელისუფლება წინამორბედებისაგან დიდად არ განსხვავდება. ოდესღაც, ჩვენი ამ ქვეყნად მოვლინებისას, რუსთაველზე ხის საყრდენებიანი ბრეზენტის კარვები იდგა, ახლა კი ლითონის კონსტრუქციებით აწყობილი და ცელოფანში შეფუთული დანომრილი საკნები დგას, რომლებსაც ხელისუფლების მომხრეები ამრეზით „გალიებს“ უწოდებენ.

### ადგილი, რომელსაც რუსთაველის გამზირი ჰქვია

**„საკანთა ქალაქი“ შუა რუსთაველიდან იწყება და თავისუფლების მოედნით მთავრდება. უფრო კონკრეტულად, იწყება „სამეგრელოთი“ და მთავრდება „გურიით“. „სამეგრელო“, ძირითადად, კონსტანტინე გამსახურდიას „თავისუფლების“ მხარდამჭერია. გურულებს, ეტყობა, უფრო ფართო არჩევანი აქვთ - ზოგი ბურჯანაძის მომხრეა, ზოგი — ალასანიასი, ზოგი — „ფორუმის“, ზოგი — „კონსერვატორების“...**

„თავისუფლების“ მომხრეთა შორის ე.წ. „ზვიადისტები“ — საქართველოს პირველი პრეზიდენტის ზვიად გამსახურდიას ერთგული კოჰორტა ჭარბობს. მათ საკნებზე გამოკრულია გამსახურდია-კოსტავას ფოტოები და ლაკონიური ლოზუნგები — „ზვიადის გზით“. ჩვენთვის მთლად ნათელი არ არის, რა გზით იარა ბატონმა პირველმა პრეზიდენტმა, მაგრამ ვიცით, რომ გზამ, რომელსაც საქართველო დამოუკიდებლობის შემდეგ ადგას, აღთქმულ მიწამდე ვერ მიგვიყვანა. ალბათ, ამისთვის სულ მცირე, კიდევ ოცი წელიწადი მაინც დაგვჭირდება.

„საკნების ქალაქი“ ცნობილი „უცნობის“ გიორგი გაჩეჩილაძის და სტუდია „მაესტროს“ ერთობლივი პროექტის გაფართოებული ვერსიაა. გიორგი გაჩეჩილაძე, ანუ „გრეჩიხა №2“ (პირველი „გრეჩიხა“ მისი უფროსი ძმა, ოპოზიციის ერთ-ერთი ლიდერი, ბატონი ლევანიაძ ამ სამიოდე თვის წინათ საკუთარი ინიციატივით ჩაჯდა სიმბოლურ საკანში და მას, ფრიადოსნის სინდრომით დაავადებული ნაციონალური მოძრაობის ანალოგიით, „საკანი №5“ უწოდა. ამიტომ, რუსთაველზე განლაგებული საკნების ნუმერაცია ექვსიდან იწყება და, როგორც გვარწმუნებენ, უსასრულობამდე გრძელდება. თუმცა, ზოგიერთ ენაკვიმატს ჩეხოვის მოთხრობა „პალატა №6“-ც ახსენდება.




საკნებში, ძირითადად, რეგიონებიდან ჩამოსულები დაბანაკებულან. მართალია, აქა-იქ თბილისელებიც ურევია, მაგრამ ისინი მაინც უმცირესობაში არიან.

ალბათ, ეს შეფარდება ათქმევინებს ხელისუფლების ზოგიერთ მხარდამჭერს, რომ „საკნებში“ „უსაქმურები, ლოთები, ნარკომანები, უტვინოები და ბოგანოები“ ჩასახლებულან. მათ „სოფლელობასაც“ ამრეზით მოიხსენიებენ.

საერთოდ, გვეჩვენება, რომ ხელისუფლება შექმნილ ვითარებას და პროტესტის დონის დადგენას რუსთაველზე გამოსული ადამიანების მხოლოდ რაოდენობით ცდილობს. დიდია რაოდენობა — ესე იგი, დიდია პროტესტი, მცირეა რაოდენობა — ესე იგი, მცირეა პროტესტიც. იკლო მომიტინგეთა რაოდენობამ — ესე იგი, საზოგადოებაში შემცირდა ხელისუფლებისადმი პროტესტის „მუხტი“.

ახლა გაზაფხულია, გაგანია ხვნათესვის ჟამი. მეურნე კაცისთვის, გლეხისთვის ამ დროს ეზო-კარის თუნდაც რამდენიმე დღით მიტოვება წლის ბოლოს ოჯახის ულუკმაპუროდ დატოვების ტოლფასია. ამიტომ საკუთარი ნებით თავისუფლებააღკვეთილთა შორის მართლაც ჭარბობს ახალგაზრდობა, სოფლის მაცხოვრებელთა ის ნაწილი, რომელსაც ოჯახის რჩენისთვის, ჯერჯერობით, პასუხისმგებლობა არ ეკისრება. თანაც, რომანტიკული განწყობა და ბრძოლის სურვილიც მოჭარბებულად აქვს. ჩვენი აზრით, ეს არ ნიშნავს იმას, რასაც ხელისუფლების წარმომადგენლები ამბობენ. ეს ხალხი არის საქართველოს რეგიონების ოპოზიციონერთა წარმომადგენლობა. მათ შორის მართლაც შეიძლება იყოს ზოგი ლოთი ან ნარკომანი, ისევე, როგორც შეიძლება ასეთები იყვნენ პარლამენტში, მთავრობაში, მერიაში, პოლიციაში და ა. შ. ბოლოს და ბოლოს, დაუზუსტებელი მონაცემებით, დღევანდელ საქართველოში, თურმე, 300 ათასამდე ნარკოტიკის მომხმარებელია.

ჩვენი მოკრძალებული აზრით, ამ ძალიან მნიშვნელოვანი და საშიში მოვლენებისადმი ასეთი ხელოვნურად გაუბრალოებული მიდგომა მთლად გონივრული არ უნდა იყოს. ყველა ჩვენგანმა, მათ შორის ხელისუფლების წარმომადგენლებმაც, ხომ შესანიშნავად ვიცით, რომ ხელისუფლებისადმი ოპოზიციურად განწყობილთა უდიდესი უმრავლესობა, თუმცა, თანაუგრძნობს „ქუჩას“, მაგრამ იქ არ დგას. ზოგი, განსაკუთრებით საბიუჯეტო დაწესებულებაში დასაქმებული, საჯარო აზრის გამოთქმასაც კი ერიდება — ლუკმაპურის ერთადერთი წყაროს — საჯარო სამსახურის დაკარგვის ეშინია. ისიც ხომ ცნობილია, რომ ეს ადამიანები (დავარქვათ მათ „მდუმარე ოპოზიცია“ძ „ქუჩას“ მაშინვე მიაშურებენ, როგორც კი მათ „მოლაპარაკე“ თუ „მყვირალა“ წარმომადგენლობას თუნდაც უმცირესი საფრთხე დაემუქრება. მართალია, ჩვენს თაობას 90-იანის კოლიზიები არ ახსოვს, მაგრამ, სამაგიეროდ, „ვარდების რევოლუციის“ ეპოქაც შესანიშნავად ახსოვს და 2007 წლის 7 ნოემბრის ტრაგიკული მოვლენებიც.

ერთ უცნაურობაზეც უნდა მოგახსენოთ. მთელ მსოფლიოში ნებისმიერ საკითხზე პროტესტის გამომხატველთა შორის ყოველთვის ჭარბობს ახალგაზრდობა. როგორც ისტორია გვასწავლის და ჩვენი მამებიც ამას ამბობენ, ასე იყო 1956 წლის 6 მარტს, 1978 წლის 14 აპრილს, 1989 წლის 9 აპრილს... ასეა თანამედროვე საბერძნეთში, იტალიაში, ხორვატიაში, დიდ ბრიტანეთში, საფრანგეთში, იაპონიაში, კორეაში...

ასე არ არის თანამედროვე საქართველოში. არ გვინდა ვიფიქროთ, რომ ქართველი ახალგაზრდობა, სტუდენტობა შეშინდა, ბედს შეურიგდა ან ხელი ჩაიქნია. ძირითადად, სახელმწიფო უნივერსიტეტების სტუდენტების ერთი ნაწილისგან გვესმის, რომ მხარს უჭერს მთავრობის პოლიტიკას. მეტი რომ არ ვთქვათ, ცოტა გაუგებარია — საზოგადოების ხელისუფლებისადმი ტრადიციულად ყველაზე შეურიგებელი ( ზოგჯერ უსამართლოდაც კიძ ნაწილი ხელისუფლების საკმაოდ „აგრესიულ“ მხარდამჭერად გვევლინება.

ძნელია დაჯერება, რომ ეს ახალგაზრდები, ჩვენი თანატოლები მართლაც საკუთარი მრწამსის შესაბამისად მოქმედებდნენ. ჩვენ არავის არ მოვუწოდებთ რომელიმე პოლიტიკური პარტიის მხარდაჭერისკენ, მაგრამ ეს ქვეყანა ხომ ჩვენიცაა. ოდესმე მის მოვლა-პატრონობასა და გაძლოლაზე პასუხისმგებლობა ხომ ჩვენც დაგვეკისრება!

იხ. 4 გვ.

**ჩვენი ჰაიდ-პარკი: ტრიბუნა ყველასთვის**

# არ აჰყვეთ პროვოკაციებს, არავითარ შემთხვევაში არ მიმართოთ ძალადობას!

**ჩვენ, უცხოეთში მცხოვრები საქართველოს მოქალაქეები, მოვუწოდებთ ოპოზიციის რადიკალურ ფრთას, დაუყოვნებლივ და უპირობოდ თქვას უარი პროტესტის იმ ფორმებზე, რომლებიც ხელისუფლების მიერ ძალადობის გამოყენების შეგნებულ პროვოცირებას წარმოადგენს. კერძოდ, ჩვენ მივიჩნევთ, რომ ქუჩების გადაკეტვას და სახელმწიფო დაწესებულებების შესასვლელების ბლოკირებას არაფერი აქვს საერთო სიტყვისა და შეკრების თავისუფლებასთან. ეს არის ანტიკონსტიტუციური ქმედება, რომელიც მიზნად ისახავს, გამოიწვიოს ხელისუფლების ადეკვატური რეაქცია და ამ გზით მიაღწიოს მის დისკრედიტაციას.**

ყველამ უნდა გააცნობიეროს, რომ ქვეყნის დედაქალაქიდან რამდენიმე ათეულ კილომეტრში საოკუპაციო ჯარი დგას და ამ ჯარის სარდლობა ეწინააღმდეგება მაისის დასაწყისში დანიშნულ ნატოსა და საქართველოს ერთობლივ სამხედრო წვრთნებს — ალბათ, ადვილი მისახვედრია, თუ რას ელოდება ოკუპანტი ან რა შედეგები შეიძლება მოჰყვეს დემონსტრანტებისა და ხელისუფლების ძალისმიერ დაპირისპირებას. ჩვენი აზრით, ამ შედეგებზე მთელი პასუხისმგებლობა იმ მხარეს დაეკისრება, ვინც დაარღვევს კონსტიტუციას საკუთარი პოლიტიკური მიზნების მისაღწევად. ზემოთქმულიდან გამომდინარე, ჩვენ მოვუწოდებთ საქართველოს ხელისუფლებას, არ აჰყვეს პროვოკაციებს და არავითარ შემთხვევაში არ მიმართოს ძალადობას.

ჩვენ გვჯერა, რომ ნებისმიერი პოლიტიკური შეთანხმება მთავრობასა და ოპოზიციას შორის საქართველოს მოსახლეობის უმრავლესობის ნებას უნდა გამოხატავდეს და არ უნდა წარმოადგენდეს იმ საფასურს, რომლის სანაცვლოდაც ოპოზიცია ანტიკონსტიტუციურ ქმედებებს შეწყვეტს. აქედან გამომდინარე, ჩვენ მივმართავთ ოპოზიციას, რომ დასახული მიზნების მისაღწევად იმოქმედოს არსებული კანონმდებლობისა და დემოკრატიული ნორმების ფარგლებში, კერძოდ, შეაგროვოს ხელმოწერები საქართველოს მოსახლეობისგან და პლებისციტის საშუალებით შეეცადოს იმის დამტკიცებას, რომ მათ მოთხოვნებს საქართველოს მოსახლეობის უმრავლესობა მხარს უჭერს. რაც შეეხება დიალოგს, რომელზეც ძალიან ბევრს ლაპარაკობენ, ის მხოლოდ ერთ საკითხზე შეიძლება შედგეს: ცნობს თუ არა ორივე მხარე მომავალი პლებისციტის შედეგებს.

შესაძლოა, საქართველოში არსებული საარჩევნო კანონმდებლობა არ არის სრულყოფილი და დემოკრატიული, მაგრამ ქუჩაში გამოსული რამდენიმე ათეული ათასი მომიტინგის მიერ მთავრობის დამხობა კიდევ უფრო შორს დგას დემოკრატიის სტანდარტებისგან, ვიდრე თუნდაც არასრულყოფილი საარჩევნო კანონი ან ამ კანონით ჩატარებული პლებისციტი, ან არჩევნები. ჩვენ მივმართავთ ყველას, ვინც საქართველოს მომავალს სამართლებრივი სახელმწიფოს ჩამოყალიბებაში ხედავს, ხმა აიმაღლოს კონსტიტუციის დასაცავად და გამოხატოს თავისი მოქალაქეობრივი პოზიცია ქვეყნისათვის გადამწყვეტ მომენტში.

**აკაკი რუსეცკი** — ფიზიკოსი, ბონის უნივერსიტეტი, გერმანია; **ირმა მგელაძე** — ფიზიკოსი, კოენიც-ლერბერმატის გიმნაზია, ბერნი, შვეიცარია; **გიორგი კავკასიძე** — შვეიცარიის ქართული სათვისტომოს თავმჯდომარე; **მარიკა ლაფაური-ბურკ** — მუსიკოსი, ჰამბურგის და ბად სეგებერგის მუსიკალური სკოლები, საზოგადოება „ლილეს“ თავმჯდომარე, გერმანია; **დიდარ მიქელაძე** — ერნსტ-ლუდვიგ-კირხნერის არქივი, ბერნი, შვეიცარია; **ალექსანდრე (ლაშა) ერმაზანაშვილი** — ბირთვული კვლევების ევროპული ორგანიზაცია, ჟენევა, შვეიცარია; **მანანა თანდაშვილი** — ფრანკფურტის გოეთეს სახელობის უნივერსიტეტი, ფრანკფურტის ქართული სათვისტომოს „ქართული კულტურის ფორუმის“ თავმჯდომარე, ფრანკფურტი, გერმანია; **ლელა სამუშია** — ფრანკფურტის გოეთეს სახელობის უნივერსიტეტი, ფრანკფურტი, გერმანია; **ნინო ახალბედაშვილი** — ექიმი-ნევროლოგი, შვეიცარიის ნეირორეაბილიტაციის ცენტრი, ბაზელი, შვეიცარია; **ლელა შმიდ-ქსოვრელაშვილი** — ჩრდილო-დასავლეთ შვეიცარიის უმაღლესი პროფესიული სასწავლებელი, ბერნი, შვეიცარია; **პაატა პატარაია** — ასოციაცია საქართველოს მეგობრების პრეზიდენტი, ლუგანო, შვეიცარია; **ივანე ბოჭორიშვილი** — მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაცია, ჟენევა, შვეიცარია; **ნინო ასანიშვილი** — საერთაშორისო მოდერატორი, პრეგასონა, შვეიცარია.

◉ სტუდენტთა თვალით

(მესამე გვერდიდან)

## ,,ქუჩის“ პოლიტიკოსები

**მიტინგი დამთავრდა. უჩვეულოდ „გაფორმებულ“ რუსთაველზე უჩვეულო სიწყნარეა. რაღაც შინაურული ატმოსფეროა. „საკნების“ ბინადრებისგან ზოგს ვესაუბრებით, ზოგის საუბარს გარედან ვაყურადებთ.** ზოგი კეთილგანწყობით გვიყურებს და რედაქტორის დავალების შესრულებაში გულწრფელად გვეხმარება. ზოგი ეჭვიანად გვათვალიერებს და პირს გვარიდებს – მწარე გამოცდილება თავისას შვება, ალბათ, მიგზავნილები და პროვოკატორები ვგონივართ. ჩვენ ხომ ჟურნალისტებიც კი არა ვართ, უბრალოდ, სტუდენტები ვართ და რომ მოგვთხოვონ, რაიმე ,,ქვის გამხეთქ“ დოკუმენტს ვერ წარვუდგენთ.

– საქართველომ დიდი ზვიადის და მერაბის გზით უნდა იაროს. სანამ კანონიერი ხელისუფლება არ აღდგება, არაფერი გამოვა. 1991-92 წლის მოვლენები უნდა შეფასდეს. ხუნტას თავისი უნდა მიეზღოს.

– ეს რა უბედურებაა. ქალაქი ნაგვით აივსო. ქუჩები გადაკეტილია, სამსახურში ვერ წავსულვარ. ბოლოსდაბოლოს, როდის დამთავრდება ეს ბაკქანალია. ხელისუფლებას ხომ ფეხებზე ვკიდივართ, არც ესენი დაგვაყრიან ხეირს!

– რომ გაიძახიან, უსაქმურებიო, მე არც უსაქმური ვარ და არც გონებაჩლუნგი, ქუჩაში ტყუილად დგომა რომ მეხალისებოდეს. მე ერთ-ერთი ,,ჩარეცხილთაგანი“ ვარ და ვიბრძოლებ მანამ, სანამ ყველაფერს თავისი სახელი არ დაერქმევა, ვიდრე სამართლიანობა არ გაიმარჯვებს. ყველაფერი ჩვენს შვილებს და შვილიშვილებს ხომ არ უნდა დავუტოვოთ საკეთებლად; ყოველთვის ყველას ყველაფერი ხომ არ უნდა შერჩეს... თანაც, დაგვცინიან, კაცო...

# მოგზაურობა საკნების ქალაქში




– მე იმიტომ ვუჭერ მხარს დღევანდელ პროტესტს, რომ ბელადების და გმირების ეპოქა უნდა დასრულდეს. ქვეყანა კოლექტიურმა გონმა უნდა მართოს და არა ვინმე 97 პროცენტით არჩეულმა ბუმბულებიანმა ბელადმა. ქვეყანას კანონი უნდა მართავდეს, ქვეყნის გულშემატკივარი და ჭკვიანი ადამიანების შექმნილი სამართლებრივი სისტემა. მე ამის შესაძლებლობას ვერ ვხედავ და იმიტომ ვდგავარ აქ.

– მეტი რა უნდა ექნა, კაცო, ამ ხელისუფლებას – ქვეყანა დააქცია, სოფელი გაალატაკა და დააცარიელა, ომი წამოიწყო და წააგო, ნახევარი საქართველო რუსეთს ჩააბარა, შავს თეთრად ასაღებს, გვატყუებს... ამოვიდა ყელში. ჩვენ რომ მეტი ჭკუა და სინდისი გვქონდეს, ახლა ყველა აქ უნდა იდგეს. ხო ხედავთ, მთავრობა თავებს ითვლის...

– არა, შვილებო, მიტინგებზე დგომა სადღა შემიძლია, დავბერდი უკვე. აქვე ვცხოვრობ. ჰო, უტრანსპორტობა და, განსაკუთრებით, ნაგვის გაუტანლობა ძალიან მაწუხებს, მაგრამ თავისთავად და შეუწუხებლად დიდი საქმე არასოდეს გაკეთებულა და არც გაკეთდება. ჩემი ქვეყანა მეც მიყვარს, მისთვის მცირედი მეც გამიღია და ვწუხვარ, რომ ამ ხელისუფლების გამო, ახლა მე და ჩემისთანები ყველა საქმეს ჩამოშორებულები ვართ. ვინმეს არც მეცნიერება სჭირდება, არც კულტურა, არც გონიერი სიტყვა. ხელისუფლებაში მოსულ გოგო-ბიჭებს ჰგონიათ, რომ ყველაფერი იციან და ყველაფრის კეთების უფლება აქვთ. თუ ეს დამოკიდებულება არ შეიცვალა, ქვეყანა დაიღუპება. იღუპება უკვე. კიდევ რა უნდა ჩაიდინოს ჩვენმა პრეზიდენტმა, რომ მისი გადადგომა მოვითხოვოთ...

– ხომ ხედავ, ძამა, ამ ჩვენს მიშას ქვეყანაზე არავინ ხმას არ სცემს. ოზურგეთშიც გვყავს ერთი მაგისთანა. რა ვქნათ მერე, მაინცდამაინც გუბერნატორად ევირჩიოთ ი უგვანო?! წევიდეს პრეზიდენტი, აბა, რა უნდა ქნას. თვითონ უფრო არ იცის, რა დააშავა? თუ ვერ ხვდება, მამამისს შეეკითხოს, ან დედამისს და ეტყვიენ. თუ არა და, მევიდეს აგერ და მე და ზურიე ოუხსნით ყორფელს დაწვრილებით...

### სურათი

**უკვე გვიანია. ის დროა, როცა, ოპოზიციის ლიდერთა განცხადებით, ვანო მერაბიშვილის „ზონდერკომანდები“ სათარეშოდ გამოსვლას იწყებენ.** ჩვენც შინ დასაბრუნებლად ვემზადებით. უცებ პარლამენტის წინ ქალბატონი ნინო ბურჯანაძე გაჩნდა. მის ირგვლივ უმალვე ცნობისმოყვარეთა წრე შეიკრა. ქალბატონი ნინო ყველას თავაზიანად უპასუხებს. არა, არავინ ეკამათება, ეტყობა, უბრალოდ, საკუთარ აზრებს ამოწმებენ. ჩვენც ახლოს მივდივართ და გვინდა, პატარა ბლიც-ინტერვიუ ჩამოვართვათ. საკითხავი ისაა, რომელი ჩვენგანი გარისკავს და საუბარში ჩაერევა. რა ვკითხოთ? – ექსტრემალურ ვითარებაში ეს კითხვა ძნელად პასუხისგასაცემი გვეჩვენება. ყოველ შემთხვევაში, ჩვენ, დამწყებ ჟურნალისტებს, სერიოზული რედაქციის პირველ სერიოზულ დავალებას რომ ვასრულებთ, ამ კითხვაზე პასუხის გაცემა გვიჭირს. ამასობაში ერთი სოლიდური მამაკაცი ქალბატონ ნინოს ემშვიდობება და დემონსტრაციულად ხელზე კოცნის...

ნინო ბურჯანაძეს, ვინც სულ ახლახან მტრად მიაჩნდათ, მერე უსტვენდნენ, მერე მდუმარედ უსმენდნენ, მერე ტაშით ხვდებოდნენ, ახლა პატივისცემის ნიშნად ხელზე კოცნით აჯილდოვებენ.

ეს კარგი ნიშანი უნდა იყოს პრეზიდენტ სააკაშვილისთვის - მას კიდევ აქვს შანსი, საკუთარი ხალხის გული მოიგოს. ამისთვის ძალიან ცოტაა საჭირო – უნდა გააკეთოს ის, რასაც მისგან მოითხოვენ. სხვათა შორის, თანამდებობიდან გადადგომა არ არის სისუსტის გამოხატულება. ბოლოს და ბოლოს, ქვეყნის ინტერესებიდან გამომდინარე, მეფობა დაუთმია დავით აღმაშენებლის მამას, საფრანგეთის პრეზიდენტი დე გოლი გადამდგარა, მრავალი სხვაც, მაგრამ მათი ეს საქციელი სამარცხვინოდ არავის მოუხსენიებია.

ქალბატონი ნინო ბურჯანაძისადმი დამოკიდებულების რადიკალური შეცვლა ქართველი ხალხის მაღალი შეგნებისა და მიმტევებლობის დასტურია.

ქართველი ხალხი მიშასაც შეუნდობს...

**თბილისის პოლიტიკური აკადემიის ჟურნალისტიკის ფაკულტეტის IV კურსის სტუდენტები:**

**მაცაცო ყაველაშვილი,
ლალი წიკლაური,
ქრისტი მაისაშვილი,
შორენა ცარციძე.**

**თბილისი, რუსთაველის პროსპექტი, 28-29 აპრილი, 2009 წელი.**

◉ ევრიკა!

# „პადოშ“, „პადოშ“, შენსა მზესა, გააფრინე კვირა დღესა?

## თურმე რა იოლი ყოფილა მსოფლიოს ნებისმიერი ოდიოზური პოლიტიკოსის გადაყენება!

**ამის მოფიქრება არ გინდა! რა ტყუილად უწვალია სალომე ზურაბიშვილს, როცა ლავროვთან მოლაპარაკებებისას, ეშმაკებს დეტალებში ეძებდა და მხოლოდ იმის შემდეგ მოახერხა რუსი კოლეგის დაყოლიება და რუსეთს თავისი ჯარი სულ ციმციმ გააყვანინა. ნეტავ რად უნდოდა, რომ რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრს მრავალრაუნდიანი დიპლომატიური მასტერკლასები ჩაუტარა მოსკოვსა და ევროპა-ამერიკაში? ნეტავ სად იყო მაშინ თავისი ბრძნული აზრებით „პადოშა“ – გია თორთლაძე?**

სად და იქ, სადაც ახლაც ბრძანდება – ჭურში. მაშინაც იქ იჯდა, თორემ ხომ ეტყოდა სალომეს, მოდი, ერთი დაშხოშიანი მიტინგი მოვაწყოთ რუსთაველზე ერთადერთი მოთხოვნით – რუსის ჯარო, გაეთრიე საქართველოდანო, და ისინიც...

**ანუ, მარტივად, იაფად და სწრაფად.**

თურმე იმის გამო არ უერთდება ამხანაგი პადოშა რუსთაველზე მდგარ მომიტინგეებს, რომ იქ არ ისმის, მისი აზრით, ყველაზე მთავარი ლოზუნგი – რუსმა ოკუპანტებმა დატოვონ აფხაზეთი და სამაჩაბლო!

ამის შესახებ კიდევ ერთხელ განაცხადა ევერესტის დამპყრობმა, ხელისუფლებასთან დიალოგში მყოფმა ,,ოპოზიციონერმა“ დეპუტატმა გასულ კვირა საღამოს ინგა გრიგოლიასთან ,,პოლიტიკურ კვირაში“.

გულწრფელად მეგონა, რომ ეს იყო ,,პადოშას“ გენიის აპოგეა, მაგრამ თურმე ვცდებოდი – მთავარი მწვერვალის – ,,სისულელის პიკის“ დაპყრობას თურმე აწი აპირებდა და აკი ჩვენს თვალწინ იმ საღამოს ტელეეთერში დაიპყრო კიდეც:

**მიშა, გადადექის რომ ყვირიან, რატომ პუტინ-მედვედევის გადაგდომას არ ითხოვენო!!!**

**არ გჯერათ, არა? თავიდან მეც არ დავუჯერე საკუთარ ყურებს, მაგრამ როდესაც ინგა გრიგოლია ჩაეკითხა, მივხვდი, რომ...**

**ეს ჩვენი „პადოშა“ ან ნამეტანი ჭკვიანია, ან ნამეტანი გაურეკავს!?**

გაგახსენდათ, ალბათ, ცნობილი ეპიზოდი ფილმიდან ,,უდიპლომო სასიძო“, ნიკოლოზი კისელს რომ უხარშავს გოჭებს. მე კიდევ ზურიკელა ვაშალომიძე გამახსენდა – ისე შეიჭრა ჩვენი ,,პადოშა“ მიშას ,,პადხალიმობის“ როლში, როგორც ზურიკელა მერის სიყვარულში და ეტყობა, უგრძვნია კაცს, უგრძვნია – ჰოდა, გრძნობით დაახეთქა!

**მაგრამ რატომ მხოლოდ პუტინი და მედვედევი? როდის იყო, რომ ქართველები ოდენ საკუთარ თავზე ვფიქრობდით? სალომე-ლავროვის არ იყოს, თუ რუსთაველზე ლოზუნგის „სროლა“ კმარა, დანარჩენ მსოფლიოზე რატომ არ უნდა ვიფიქროთ ქართველებმა?**

ჰოდა, ახლა მაინც დავუჯეროთ ქართველ რაინჰოლდ მესნერს (უდიდესი ალპინისტი, მსოფლიოს ყველა 8-ათასიანი პიკის დამპყრობი! – **დ. მ.**) პუტინ-მედვედევთან ერთად ომახიანად მოვითხოვოთ: უგო ჩავესის, რაულ კასტროს, კიმ ჩენ ირის, აჰმადინეჯადის და სხვა ოდიოზების გადადგომა!

**სერიოზულად თუ ვიტყვით, ეს კაცი ან „გვეკაიფება“, ან კიდევ, ჭურიდან ამოსული, ტყემალზე ასულა და ბლის კურკებს ისვრის. უფრო დაზუსტებით კი „პადოშა“ ვერ არის ჯანმრთელად, ჩემი აზრით, რა თქმა უნდა! საბოლოო, კომპეტენტური დასკვნის გამოტანა თქვენთვის მომინდვია, ჩემო მკითხველო!**




**დავით მხეიძე**

◉ კვირის მიმოხილვა

# VIVA, დამარცხებულო!

(მეორე გვერდიდან)

მას შემდეგ, რაც ამ სამიოდე წლის წინათ ჯანმრთელობის მაშინდელმა მინისტრმა ბატონმა ჭიპაშვილმა ,,ფრინველის გრიპის“ შემოფრენა გვამცნო და გვახარა, რომ ,,წლის ბოლომდე საქართველოს მოსახლეობის 30-40 პროცენტი დაიღუპებოდა“, შორეულ მექსიკიდან ღორის გრიპის შემოღრუტუნებას მშვიდად შევხვდით. ალბათ, იმის გამოც, რომ ახლახან საქართველოში მძვინვარებდა მსგავსი არარსებული პანდემია კოდური სახელწოდებით ,,ღორის თურქული“, რასაც ამ უწყინარი და სასარგებლო არსებების მასობრივი ჟლეტა მოჰყვა.

სხვათა შორის, ეს შავ ჭირზეც მეტად საშინელი სნეული ჩვენს ქვეყანას რატომღაც ყოველთვის პოლიტიკური კრიზისების დროს დაატყდება-ხოლმე.

***პირველი*** მაისის ტრადიციული გრანდიოზული მანიფესტაციები ისტორიას ჩაბარდა, მაგრამ გასულ კვირას, საქართველოს გაერთიანებული პროფკავშირების ინიციატივით, თბილისში, რესპუბლიკის მოედანზე გაიმართა საკმაოდ ხალხმრავალი მიტინგი, ძირითადად, სოციალური მოთხოვნებით. სახელისუფლებო ტელეარხებმა ამ მოვლენას წაუყრუეს, მაგრამ ეს ვითარებას არ ცვლის – როგორც წესი, პროფკავშირების გააქტიურება, მით უფრო, სოციალური პრობლემატიკის წინა პლანზე წამოწევა, ხელისუფლებისთვის სერიოზულ ხიფათს შეიცავს.

ორშაბათიდან ეგრეთ წოდებულმა ,,რადიკალურმა“, ანუ ,,ქუჩის“ ოპოზიციამ, როგორც გვპირდებოდა, მოქმედებათა ახალი გეგმის განხორციელება დაიწყო. ვნახოთ, როგორ განვითარდება მოვლენები. ისეთი პირი უჩანს, უეჭველად შევალთ გინესის წიგნში უცნაურ მიტინგების ხანგრძლივობის მიხედვით.

გასულ კვირას 52 წლისა მოულოდნელად გარდაიცვალა ცნობილი დიპლომატი ლევან მიქელაძე. ეს უდიდესი დანაკლისია, როგორც მისი ოჯახის, ახლობლებისა და მეგობრებისთვის, ისე მისი პოლიტიკური პარტნიორებისთვის, მთლიანად ქართული პოლიტიკური სპექტრისთვის.

პოლიტიკური კატაკლიზმების მიუხედავად, საქართველო მთელ მსოფლიოსთან ერთად გულისფანცქალით ელოდა შაბათ საღამოს. ფეხბურთი, რა თქმა უნდა, ფეხბურთია – მადრიდი, ნოუ კამპის სტადიონი, ,,სუპერკლასიკო“, რეალი-ბარსელონა!

და მართლაც, ვნახეთ საოცარი სპექტაკლი არამიწიერი შემსრულებლების მონაწილეობით. ეს ეხება ორივე გუნდს, გამარჯვებულსაც და დამარცხებულსაც. არც ისე შორეულ წარსულში თავად დიდი ფეხბურთელის, ხოსე გვარდიოლას ,,ბარსამ“ ტრადიციულ მრისხანე მეტოქეს არავითარი შანსი არ დაუტოვა, შეგახსენებთ, რომ ეს მეტოქე იყო თვით მადრიდის სამეფო კლუბი – რეალი, მსოფლიოს ყველაზე ტიტულოვანი, ყველაზე ამბიციური და ყველაზე მდიდარი საფეხბურთო გრანდი.

აი, ამ ყველაზე, ყველაზე, ყველაზე... გუნდს კატალონიელებმა მადრიდშივე გამანადგურებელი დამარცხება აგემეს – 6:2! ვნახოთ, გადადგება თუ არა ამ მატჩის შემდეგ რეალის მწვრთნელი, გამოცდილი და სახელგანთქმული სპეციალისტი.

დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, მადრიდის რეალის მწვრთნელი მიშა სააკაშვილი რომ ყოფილიყო, არაფრისდიდებით არ გადადგებოდა. არგუმენტი გნებავთ? – მადრიდელებმა ბარსელონელებთან წაგებით მთელ მსოფლიოს დაანახვეს სეპარტისტი კატალონიელების ნამდვილი სახე; მოიპოვეს მთელი მსოფლიოს თანაგრძნობა. სწორედ ამ მარცხმა გააერთიანა მთელი ესპანეთი და ესაა სწორედ ჩვენი უდიდესი გამარჯვება.

გაუმარჯოს დამარცხებულს!

**თეიმურაზ ქორიძე**

პოზიცია

# ზურაბ ნოღაიდელი: ვაის რომ გავეყრებით, უის არ უნდა შევეყაროთ!

## ტერიტორიების დამკარგავმა ვერც ერთმა ხელისუფალმა ვერსად თანამდებობა ვერ შეინარჩუნა და ვერც მიხეილ სააკაშვილი შეინარჩუნებს

***„მოძრაობას სამართლიანი საქართველოსთვის“ ქვეყნის ხელისუფლების შესაცვლელად განსხვავებული შეხედულება და გრძელვადიანი გეგმა აქვს, თუმცა, მოძრაობის ლიდერი ზურაბ ნოღაიდელი დადებითად აფასებს საპროტესტო აქციებსაც და მიაჩნია, რომ ეს უშედეგოდ არ უნდა დასრულდეს. ქვეყნაში შექმნილ პოლიტიკურ და ეკონომიკურ ვითარებაზე, ასევე, სამომავლო გეგმებთან დაკავშირებით, „ინტერპრესნიუსი“ „მოძრაობა სამართლიანი საქართველოსთვის“ ლიდერს ზურაბ ნოღაიდელს ესაუბრა.***



**— ბატონო ზურაბ, როგორ შეაფასებთ საქართველოში მიმდინარე მოვლენებს და როგორ ფიქრობთ, რა შედეგით შეიძლება ეს ყველაფერი დასრულდეს?**

პირველ რიგში, მინდა ვთქვა, რომ ძალიან მაღალ შეფასებას ვაძლევ 9 აპრილს დაწყებულ აქციებს. მოგეხსენებათ, ჩვენს მოძრაობას აქცია ბათუმში ჰქონდა. ორივეს, ბათუმისა და თბილისის აქციებსაც მაღალ შეფასებას ვაძლევ. ვფიქრობ, საბოლოო ჯამში, ეს ძალიან მნიშვნელოვანი ნაბიჯი იყო ხელისუფლების ცვლილების გზაზე. შემდეგ ჩვენ აქციებში აღარ ვმონაწილეობთ, ამიტომ დამატებითი შეფასებებისგან თავს შევიკავებ. ჩემთვის თავიდანვე ნათელი იყო, რომ საზოგადოებაში ჯერ არ არის დაგროვილი საკმარისი მუხტი ხელისუფლების ცვლილებისთვის და ეს ბევრად უფრო გრძელვადიანი საქმეა, მეტ ძალისხმევას მოითხოვს. შესაბამისად, იმედი მაქვს, ოპოზიციას, 9 აპრილის აქციების ორგანიზატორებს და უშუალო მონაწილეებს ეყოფათ ძალა და ენერგია ამ გრძელვადიანი მარათონისთვის. ვფიქრობ, რომ ჩვენი ქვეყნის ინტერესშიც სწორედ ეს შედის.

**— ამბობენ, თითქოს თქვენ აქციების დროს არ მოგეცათ სიტყვით გამოსვლის საშუალება და ამიტომ შეიკავეთ თავი შემდგომ აქციებში მონაწილეობისგან, რამდენად შეესაბამება ეს სიმართლეს?**

— ჩვენ ვმონაწილეობდით ამ აქციებში. აღმოსავლეთ საქართველოდან ჩვენი მხარდამჭერები იყვნენ თბილისში 9 აპრილს და 10-შიც. 9 აპრილის ორგანიზატორების ნაწილმა, უფრო სწორად ლიდერებმა მთხოვეს აქციაში მონაწილეობა, 10-ში თბილისში ჩამოსვლა და შემდგომ გეგმებზე საუბარი. ვგეგმავდი კიდეც ჩამოსვლას, მაგრამ ვერ ჩამოვასწარი, რადგან აქცია სწრაფად დასრულდა. აქციის დანარჩენ ნაწილში ჩვენ მონაწილეობას ისედაც არ ვგეგმავდით, ეს ერთი. მეორე – „ეროვნული ფორუმის“ წარმომადგენლებმა გვითხრეს, რომ სიტყვით გამოსვლის შემთხვევაში მოგვიწყობდნენ ობსტრუქციას, დაახლოებით ისეთს, როგორც ქალბატონ ნინო ბურჯანაძეს მოუწყვეს სხვებმა. ბუნებრივია, ჩვენ ამას ასე წყნარად არავითარ შემთხვევაში არ ჩავატარებდით, სხვა მხრივ, მიტინგზე მისვლას და იქ გამოსვლას ვერავინ აგვიკრძალავდა. თუმცა, ცხადია, არანაირი სურვილი არ მაქვს ვინმემ ობსტრუქცია მომიწყოს.

**— როგორია სამომავლო ტაქტიკა, როგორ აპირებთ ბრძოლას?**

— ჩვენი ტაქტიკაც და, ვფიქრობ, სხვების ტაქტიკაც უნდა იყოს ბევრად უფრო გრძელვადიანი, რადგან კარგად დავინახეთ, რომ უცებ და სწრაფად ეს საქმე არ მოგვარდა. თავიდანვე ვიცოდით, რომ დღეს არ არის ისეთი ვითარება, მიმართო საზოგადოებას, მათი დიდი ნაწილი ქუჩაში გამოეფინოს და ამით მოხდეს მთავრობაზე შესაბამისი ზეწოლა. ბევრად მეტი ორგანიზაციული ძალისხმევაა საჭირო ამისთვის და ამიტომ ჩვენ სტრუქტურების მშენებლობას განსაკუთრებულ ყურადღებას ვაქცევთ. სავსებით ნათელია, ნებისმიერი ჩვენი წარმატებული აქცია მაგალითად, აჭარაში ან შეხვედრები საქართველოს სხვა რეგიონებში, მათ შორის თბილისში, უდიდესი ორგანიზაციული ძალისხმევის შედეგია, ეს არ იყო თავისთავადი მოვლენა. დარწმუნებული ვარ, მომავალშიც ასე იქნება გასაკეთებელი. ვფიქრობ, ეს კარგად არის ცნობილი ოპოზიციის სხვა წარმომადგენლებისთვისაც. თავად რას იზამენ, არ ვიცი, მაგრამ ჩვენ ძირითად ძალისხმევას სწორედ ამ სტრუქტურების მშენებლობას ვახმართ. არჩევნების მოსაგებად ან ხელისუფლების ცვლილებისთვის საჭიროა, თითოეულ საარჩევნო უბანში, უხეშად რომ ვთქვათ, იყოს ხუთი აქტიური პროპაგანდისტი მაინც. ვიდრე ასეთი ძალა მოძრაობას ან პარტიას არ ექნება, რეალურად მას გამარჯვებაზე ფიქრიც არ შეეძლება. ჩვენ სწორედ აქეთკენ მივმართავთ ძალისხმევას.

**— როგორია თქვენი სამომავლო გეგმა?**

— ხელისუფლებაზე ზეწოლის ჩვენი გეგმა ბევრად უფრო გძრელვადიანია და არ არის უახლოეს დღეებზე გათვლილი. 2 მაისს „გლდანის“ მეტროსთან გვაქვს აქცია დაგეგმილი, ეს უფრო გლდანისა და ნაძალადევის ძალების დათვალიერებაა, არ იქნება განსაკუთრებულად მრავალრიცხოვანი, მაგრამ მაინც დიდი მნიშვნელობა აქვს. 6 მაისს უკვე მოდის ბათუმი. აჭარის რევოლუციის 5 წლისთავია და, შესაბამისად, ყველაზე შესაფერისი ადგილი ამ დროს აქციისთვისაც ბათუმია. სხვათა შორის, ოპოზიციას, ყველას ვიწვევთ ამ აქციაში მონაწილეობის მისაღებად. შემდეგ ვგეგმავთ ოზურგეთში, 31 მაისს კი - ისანში და სამგორში აქციის მოწყობას. ეს იქნება ჩვენი ისნისა და სამგორის ორგანიზაციების დათვალიერება, შემდეგ დუშეთში, მცხეთაში, ქუთაისში და ა.შ. ხედავთ, რომ ჩვენი გეგმა დროში გაწელილია. როგორც ამ გეგმიდან ჩანს, არ ვფიქრობთ, რომ ეს აქციები უახლოეს პერიოდში დასრულდება. ძალიან მნიშვნელოვანი იქნება, 9 აპრილის ორგანიზატორებსაც ეყოთ ძალა, რათა ამ დამქანცველ მარათონში მიიღონ მონაწილეობა, რადგან ჩვენი ქვეყნის ინტერესებში ნამდვილად არ შედის 9 აპრილის აქციების უშედეგოდ დამთავრება, უბრალოდ, ჩემი აზრით, სხვა გეგმით არის მოქმედება საჭირო. მთავარი ის არის, რომ საზოგადოებრივი მხარდაჭერის გარეშე საზოგადოებრივი ზეწოლა სააკაშვილზე არ შედგება. ეს რომ შედგეს, ადამიანები დარწმუნებული უნდა იყვნენ, რომ სააკაშვილის რეჟიმის ცვლილება მათთვის სასიკეთოდ განვითარდება. შესაბამისად, მათთვის მნიშვნელოვანია ზუსტად იცოდნენ, რა შეიცვლება. ბევრჯერ იყო ბოლო წლების განმავლობაში შემთხვევა, როდესაც ვაის გავეყრებოდით, გვეგონა რომ დავლაგდით, 2-3 წელი მართლაც იყო გამონათებების პერიოდი, 2004-2007 წლები საქართველოსთვის ნამდვილად წარმატებული იყო, მაგრამ შემდეგ მაინც უის შევეყარეთ. ამიტომ საზოგადოება, კატეგორიულად მოითხოვს ჩვენგან, პოლიტიკოსებისგან ვაის რომ გავეყრებით, უის აღარ შევეყაროთ.

**— როგორც აღნიშნეთ, თქვენი გეგმაც ხანგრძლივ ვადაზეა გათვლილი. როგორ ფიქრობთ, 2013 წლამდე თუ არის შესაძლებელი, მომწიფდეს ის საზოგადოებრივი მზაობა, რომელზეც თქვენ საუბრობთ?**

— მე ვფიქრობ, ეს ბევრად ადრე უნდა მოხდეს და მოხდება კიდეც. არ ვსაუბრობ 2013 წელზე, მაგრამ იმასაც ვხედავთ, რომ ეს არ არის დღეების, უახლოესი 2-3 კვირის საქმე. შესაბამისად, ბევრად უფრო კარგად მოფიქრებული, თანმიმდევრული, შედარებით გრძელვადიანი გეგმაა საჭირო იმისთვის, რომ ეს ყველაფერი მოხდეს. ვერსად ვერავინ, ტერიტორიების დამკარგავმა ვერც ერთმა ხელისუფლებამ ვერ შეინარჩუნა თანამდებობა და ვერც სააკაშვილი ვერ შეინარჩუნებს. მიხეილ სააკაშვილი საქართველოს ისტორიაში შედის, როგორც საქართველოს ტერიტორიების დამკარგველი პრეზიდენტი, დამთმობი პრეზიდენტი და, შესაბამისად, მას არანაირი პოლიტიკური მომავალი არ აქვს.

**— ხელისუფლებაში ბოლო პერიოდში საუბრობენ ოპოზიციის გარკვეულ ლიდერებთან დიალოგის საკითხზე, როგორ ფიქრობთ, არის თუ არა დღეს ოპოზიცია ისეთი ერთიანი, როგორც, მაგალითად, 9 აპრილს?**

— ამის შესახებ ნამდვილად არ ვიცი. ცხადია, ადამიანებს შორის შეიძლება იყოს აზრთა სხვადასხვაობა. ეს მხოლოდ სასარგებლოა, ჩემი აზრით, ქვეყნისთვის. რაც შეეხება დიალოგს, დიალოგი, პირველ რიგში, ერთი მხრივ სააკაშვილის და მის გარემოცვას და მეორე მხრივ 9 აპრილის ორგანიზატორებს შორის უნდა გაიმართოს. ეს ხალხია ყველაზე რადიკალური აქციების ორგანიზატორი, ისინი არიან დღეს ქუჩაში და ყველაზე უფრო მეტად გაბრაზებულები. პირველ რიგში, მათი დაშოშმინებაა საჭირო. ნებისმიერ სხვასთან, მაგალითად ჩვენთან, დიალოგს არანაირი აზრი არა აქვს. ეს იქნება მორალურადაც გაუმართლებელი და პრაქტიკულადაც არანაირ შედეგს არ მოიტანს. ჩვენ ამ დიალოგში უახლოესი პერიოდის განმავლობაში, ვიდრე ეს ვითარება არ გაირკვევა და არ დალაგდება, არ ვაპირებთ მონაწილეობის მიღებას, სადიალოგოც ნამდვილად არაფერი გვაქვს.

**— ბატონო ზურაბ, თქვენი შეფასებით, რა მდგომარეობაშია დღეს საქართველოს ეკონომიკა?**

— საქართველოს ეკონომიკა დღეს, სამწუხაროდ, ძალიან მძიმე მდგომარეობაშია. სამი ფაქტორია, რაც ზეგავლენას ახდენს საქართველოს ეკონომიკის დღევანდელ მდგომარეობაზე - პირველ რიგში მსოფლიო ეკონომიკური კრიზისი, მაგრამ მისი ზეგავლენა ძალიან მცირეა. მეორე მიზეზია 2007 წლის 7 ნოემბერი და შემდგომი მოვლენები, აქციის დარბევა და ამის შემდეგ თვეების განმავლობაში მიმდინარე პოლიტიკური დაპირისპირება, მიღებული სრულიად უაზრო სახარჯო გადაწყვეტილებები და არჩევნებამდე გაცემული ათასი შეპირება, რომელიც შემდგომ არ სრულდება. მაგრამ ამ ორ მიზეზთან შედარებით, მესამე ბევრად უფრო მნიშვნელოვანი, მტკივნეული და დამღუპველი აღმოჩნდა ჩვენი ეკონომიკისთვის – ეს 2008 წლის 8 აგვისტოა, ომი. ამ სამი ფაქტორის ერთობლიობამ გამოიწვია ჩვენი ეკონომიკის განვითარების პრაქტიკულად შეჩერება 2008 წლის მეორე ნახევრიდან და ეს პროცესი გრძელდება დღესაც. ჩემი შეფასებით, წელს ჩვენი ეკონომიკა 5-7 პროცენტით შემცირდება. რეალურ მაჩვენებლებში თუ ვისაუბრებთ, დაახლოებით, 100 ათასი ჩვენი თანამოქალქე ან მეტი კარგავს სამუშაო ადგილს. მაგალითად, შემიძლია მოვიყვანო ოჯახი, რომელიც შედგება რვა წევრისგან. მშობლები მუშაობდნენ კომუნისტების პერიოდიდან, შვილმა და მისმა მეუღლემ სამუშაო 2004-დან 2007 წლებში იშოვეს, თუმცა დღეს ოჯახში რვავე უმუშევარია. ასეთი ოჯახი ბევრია საქართველოში. 180 ათასმა ჩვენმა თანამოქალაქემ დაიწყო სამსახური 2004-დან 2007 წლებში, თუმცა, ბოლო პერიოდში კარგავენ სამსახურს და საკმაოდ მძიმე სოციალურ მდგომარეობაში არიან.

**— რა გამოსავალი არსებობს ამ მდგომარეობიდან?**

— ყველა ეს ფაქტორი უნდა მოიხსნას, პირველ რიგში, ომი და ომის შედეგები. ვგულისხმობ, იმ საომარ რიტორიკას, რომელსაც კვლავაც აგრძელებს მიხეილ სააკაშვილი, ამბობს, რომ ომი ჯერ არ დასრულებულა, ტერიტორიებს დააბრუნებს ჯერ კიდევ მისი პრეზიდენტობის დროს. კარგად ვიცით, რომ არაფრის დამბრუნებელი არ არის. უშუალოდ ომის დროს და ომის შემდგომ დღეებში გორში კარგად ვნახეთ მისი ვაჟკაცობა, მაგრამ არ ასრულებს ამ თემაზე საუბარს. ვიდრე საქართველოში იქნება საომარი რიტორიკა, ინვესტიციები არ შემოვა; ვიდრე არ ამოიწურება ომის შედეგები, მანამდე საქართველოს ეკონომიკა ვერ დაუბრუნდება ნორმალურ განვითარებას, რადგან ჩვენი ეკონომიკის განვითარების მთავარი ფაქტორი სწორედ უცხოური ინვესტიციები იყო, დღეს უცხოური ინვესტიციები საქართველოში, პრაქტიკულად, საერთოდ აღარ შემოდის. მე ვერ ვხედავ ამ ფაქტორის გამოსწორების ვერანაირ შანსს.

იხ. 6 გვ.

ინფორმაცია

### რუსები აფხაზეთისა და ოსეთის საზღვრებს აძლიერებენ

**საქართველოს** საგარეო საქმეთა სამინისტრო გმობს აფხაზეთისა და ე.წ. სამხრეთ ოსეთის ადმინისტრაციული საზღვრების გაძლიერებასთან დაკავშირებით რუსეთის მიერ გადადგმულ ნაბიჯებს.

როგორც საგარეო საქმეთა სამინისტროს პოლიტიკური დეპარტამენტის დირექტორმა ზურაბ კაჭკაჭიშვილმა გუშინდელ ბრიფინგზე განაცხადა, რუსეთმა დაიწყო აქტიური მუშაობა გალის მიმართულებით ადმინისტრაციული საზღვრის გაძლიერებასთან დაკავშირებით.

კაჭკაჭიშვილის თქმით, ეს ნაბიჯები იდგმება აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დე ფაქტო ხელისუფლებასთან საზღვრების დაცვის შესახებ გაფორმებული ხელშეკრულების ფარგლებში, რომელსაც გმობს საერთაშორისო თანამეგობრობა.

მისივე შეფასებით, რუსეთის ეს ქმედება საერთაშორისო სამართლის ყველანაირი ნორმის დარღვევაა.

მისი თქმით, რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტრო, როგორც ჩანს, ითავსებს ტურისტული სააგენტოს ფუნქციებსაც, რადგან რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს ოფიციალური წარმომადგენლები აფხაზეთის კურორტების მიმზიდველობის შესახებ ოფიციალურ განცხადებებს აკეთებენ.

ქართული მხარე მოუწოდებს რუსეთის საგარეო პოლიტიკურ უწყებას, ნუ დაავიწყდება, რომ საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე საუბრობენ.

### ახალგორი არჩევნებისთვის ემზადება

**ახალგორში** სეპარატისტული არჩევნებისათვის მზადება იწყება.

დე ფაქტო ხელისუფლება საარჩევნო უბნებს გახსნის. რაიონის სეპარატისული ადმინისტრაციის თანამშრომლებმა კონსულტაციები ცხინვალში გაიარეს, საიდანაც სპეციალური ანკეტები ახალგორში ჩაიტანეს.

ახალგორის რაიონის საკრებულოს თავმჯდომარე ავთანდილ ყოჩიშილი არ გამორიცხავს, რომ სეპარატისტებმა დოკუმენტები მოსახლეობის იძულებითი პასპორტიზაციისათვის გამოიყენონ.

### კოდორის ხეობაში რუსებს ჩაასახლებენ

**ზემო აფხაზეთში** ქართველების სახლებში რუსებს ჩაასახლებენ. ადგილობრივი მოსახლეობის ინფორმაციით, კოდორში ქართველების ქონებას რუსი ჯარისკაცების ოჯახებს გადაუნაწილებენ.

იგეგმება ზემო აფხაზეთის საკურორტო ზონად გამოცხადება, რის შემდეგაც კოდორში დასვენების მსურველებს რუსეთიდანაც მიიწვევენ.

აფხაზური ტელევიზიის ინფორმაციით, კოდორის ხეობის ზედა ნაწილი დე ფაქტო თავდაცვის მინისტრმა მერაბ ქიშმარიამ მოინახულა.

ინტერპრესნიუსი და ჯი-ეიჩ-ენი

№ 88. სამშაბათი, 5 მაისი, 2009 წელი.

## კითხული კაცის აზრი



***„ინტერპრესნიუსს“ ესაუბრება სოციალური კვლევისა და პოლიტიკური ანალიზის საერთაშორისო ცენტრის თავმჯდომარე, საერთაშორისო ურთიერთობათა ფილოსოფიის დოქტორი გიორგი ივანიაშვილი-ორბელიანი.***

# ქვეყანაში იდეოლოგიური, ინტელექტუალური რესურსისა და პოლიტიკური აზროვნების კრიზისია

**— ბატონო გიორგი, როგორ შეაფასებდით ქვეყანაში შექმნილ ვითარებას და, თქვენი აზრით, რამ განაპირობა იმ ვითარების წარმოქმნა, რომელშიც ვიმყოფებით?**

— უნდა დავიწყოთ იმით, თუ რა განსაზღვრავს პოლიტიკურ სტაბილურობას. უწინარესად, ეს ელიტების ცირკულაციის პროცესია, რომელიც გულისხმობს დაღმასვლისა და აღმასვლის ერთობლიობას. ამჟამად ქვეყანაში არის დაღმავალი პროცესი, ანუ იგივე პოლიტიკური კრიზისი, ვინაიდან მმართველ ელიტას უჭირს ეფექტური მართვა, ხოლო საზოგადოებრივ ინსტიტუტებსა და პოლიტიკურ პარტიებს არ გააჩნიათ სათანადო რესურსები მის ჩასანაცვლებლად.

საქართველო განიცდის პოლიტიკური და ინტელექტუალური რესურსების კრიზისს და ეს არის მთავარი ხელისშემშლელი ფაქტორი ჩვენი სახელმწიფოებრივი განვითარებისთვის. ქვეყანაში პროფესიონალიზმის, თანამედროვე ცოდნის, ცივილიზებული თამაშის წესების, ლიდერობის უნარ-ჩვევების, სტრატეგიული აზროვნების, ზნეობრივ-ეთიკური ნორმების დეფიციტია. ეს ეხება როგორც სახელმწიფო, ისე საზოგადოებრივი ინსტიტუტების მართვის სფეროებს. ეს ის უმთავრესი მიზეზებია, რომელთა გამოც იმყოფება ამჟამად ქვეყანა პოლიტიკურ კრიზისში.

**— ბევრი მიიჩნევს, რომ ქვეყანა პოლიტიკურ ჩიხშია. თქვენი აზრით, შექმნილი ვითარების შეფასებისთვის უფრო ზუსტი შეფასება რომელია — პოლიტიკური კრიზისი, თუ პოლიტიკური ჩიხი?**

— პოლიტიკური პროცესი ჩიხში მაშინ შედის, როცა არ არსებობს კონსენსუსი სახელმწიფო და საზოგადოებრივი ინსტიტუტების ურთიერთდამოკიდებულებაში. საერთოდ, თანამედროვე რეალობაში სახელმწიფოს მართვა, სახელმწიფო პოლიტიკა წარიმართება ამ ინსტიტუტების ურთიერთდამოკიდებულებისა და ურთიერთკონსენსუსის პირობებში. ძირითადი მოთამაშე მხარეები არიან მთავრობა, პოლიტიკური პარტიები, მასობრივი ინფორმაციის საშუალებები, ბიზნესსექტორი და სხვადასხვა ინტერესთა ჯგუფები.

როგორია ამ ინსტიტუტების განვითარების დონე? სამწუხაროდ, კონსენსუსი ვერ ხერხდება იმის გამო, რომ არ არის იდეოლოგიური საყრდენი სახელმწიფოებრივი განვითარებისა. ამიტომ ხშირია მანიპულაციები, დემაგოგიური მსჯელობები, რომლებიც დამყარებულია იაფ ექსპერტულ რჩევებსა და კერძო მერკანტილურ ინტერესებზე. ამიტომ, შექმნილ ვითარებას მე შევაფასებდი უფრო კრიზისად, ვიდრე — ჩიხად.

გარწმუნებთ, რომ ეს რეალობა, რომელიც ამჟამად საქართველოში აშკარაა — ქუჩაში გამოსვლები, დემონსტრაციები — ეს ძალიან მალე დასრულდება, რადგან იმ პოლიტიკურ ძალებს, რომლებსაც აქვთ ხელისუფლების შეცვლის ამბიციები, არა აქვთ ერთიანი ღირებულებები და ფასეულობები. ფასეულობებში და ღირებულებებში მოვიაზრებ თანამედროვე ცოდნას, ქვეყნის განვითარების სტრატეგიულ ხედვას და ასე შემდეგ.

**— აქტუალური თემაა ხელისუფლებასა და ოპოზიციას შორის დიალოგის დაწყების საკითხი. თქვენი აზრით, უნდა წავიდეს თუ არა ოპოზიცია ხელისუფლებასთან დიალოგზე და თუ კი, რა საკითხებზე უნდა იმსჯელონ მათ?**

— ეს საკითხები საქართველოს სახელმწიფოებრივი განვითარების მოკლე, საშუალო და გრძელვადიან პერსპექტივას უკავშირდება. რაც შეეხება დიალოგსა და კონსენსუსს ხელისუფლებასა და ოპოზიციას შორის, ეს არის მოკლევადიან პერსპექტივაზე გათვლა. თუ ამ დიალოგის იდეოლოგიური საყრდენი არ იქნა სახელმწიფოებრივი განვითარების თანამედროვე ხედვა, რომელიც დაფუძნებული იქნება მერიტოკრატიულ ფასეულობებზე, ეკონომიკის ცოდნის პრინციპებზე, ყველა იმ ფასეულობაზე, რომელიც ცივილიზებული სახელმწიფოებისთვის დიდი ხანია ძირითადი პრიორიტეტებია, საქართველოს განვითარება სერიოზულად შეფერხდება.

ხელისუფლებამ და ოპოზიციამ, შეიძლება, იმსჯელონ სახელმწიფოს მართვის საკითხებზე, ეკონომიკურ პოლიტიკაზე, პოლიტიკაში ზნეობრივ-ეთიკური ნორმების დამკვიდრებაზე, ჯანსაღ ლიდერობაზე, ქვეყანაში სახელმწიფოებრივი პრიორიტეტების აქტუალიზაციისა და ამ პროცესში საზოგადოებრივი ინსტიტუტების ჩართვაზე.

**— და ეს მაშინ, როცა ოპოზიცია მხოლოდ პრეზიდენტის გადადგომას მოითხოვს და ხელისუფლებასთან დიალოგის დაწყების შემთხვევაში ისევ პრეზიდენტის გადადგომის მოთხოვნის დაყენებას აპირებს?**

— ოპოზიციას ნამდვილად არა აქვს ის ძლიერი საყრდენი, რომელზეც შეიძლება მოხდეს კონცენტრირება და ამ პოლიტიკურ ჭიდილში საკუთარი ინტერესების გატანა. დარწმუნებული ვარ, რომ ოპოზიცია დაინტერესებულია კონსტრუქციული დიალოგით. ეს ოპოზიციის მხრიდან დათმობა კი არა, სახელმწიფოებრივი ინტერესებიდან გამომდინარე ხედვის დემონსტრირებაა, რაც, თავის მხრივ, ამ სიტუაციას განმუხტავდა.

**— თუ მხარეებმა კონსესუსს მაინც ვერ მიაღწიეს, რისი მოლოდინი შეიძლება ჰქონდეს საზოგადოებას და თქვენი აზრით, შექმნილ ვითარებაში კრიზისის დაძლევის რა პერსპექტივა არსებობს?**

— დიალოგი აუცილებლად უნდა შედგეს და, დარწმუნებული ვარ, შედგება. გაჭიანურებული პროცესი ოპოზიციის სასარგებლოდ არ მოქმედებს. რაც დრო გადის, საზოგადოებას სულ უფრო იპყრობს ნიჰილიზმის გრძნობა და, შესაბამისად, ოპოზიციის იდეოლოგიური საყრდენი სულ უფრო და უფრო სუსტდება. ოპოზიცია იძულებული იქნება, წავიდეს მოლაპარაკებებზე, მით უმეტეს, რომ მთავრობა მას გარკვეულ დათმობებს სთავაზობს.

კრიზისის დაძლევის ძალიან ბევრი პერსპექტივა არსებობს. უწინარესად ეს არის დიალოგი არა ზოგად პრობლემატურ საკითხებზე, არამედ ეროვნულ იდეოლოგიაზე, რომელიც ქვეყნის განვითარების ქვაკუთხედია. ერთხელ ვთქვი, მაგრამ კიდევ გავიმეორებ, რომ ახლა მნიშვნელოვანია გლობალური რისკებისა და შესაძლებლობების გათვალისწინებით საქართველოს პერსპექტივების ძიება, ამ საკითხებზე ფართო პოლიტიკური დისკურსის ორგანიზება, ეროვნული დოქტრინის შემუშავება. ამ პროცესში უნდა ჩაერთონ როგორც სამთავრობო, ისე სხვა პოლიტიკური პარტიები, მედიასაშუალებები, ბიზნესსექტორის წარმომადგენლები და სხვა ინტერესთა ჯგუფები. ეს უნდა იყოს ჯგუფური ურთიერთქმედების პროცესი, მაგრამ მთავარია პრიორიტეტების დასახვა და იდეოლოგიური საყრდენის მონახვა.

ბოლო 10-15 წლის განმავლობაში ტრიალებს ე. წ. სტაგნაციის კარუსელი და ჩვენს პოლიტიკურ ელიტაში პრაქტიკულად რეალური ცვლილებები არ ხდება. პოლიტიკურ არენაზე ერთი და იგივე ხალხი დომინირებს და პარტიების ახალი ინტელექტუალური რესურსით განახლება არ ხდება. ეს ხელს უშლის როგორც პოლიტიკური ელიტის განვითარებას, ისე სახელმწიფოებრივ ინტერესებს.

**— გასაგებია, მაგრამ ოპოზიცია ამ უდავოდ მნიშვნელოვან თემებზე ხელისუფლებასთან საუბარს არ აპირებს და პრეზიდენტის გადადგომის საკითხს კატეგორიულად აყენებს?**

— თუ ორ მხარეს შორის მიმდინარეობს ინტერაქცია და ორივე მხარეს სურს ამ პროცესში დომინანტური პოზიციის მიღება, იმისთვის, რომ დომინანტობას მიაღწიო, უნდა გქონდეს ძალა, რაც მოგაპოვებინებს ამ დომინანტობას. ფაქტია, რომ ოპოზიცია ნელ-ნელა კარგავს საზოგადოების მხარდაჭერის ინსტრუმენტს. მე არა მგონია, რომ საქართველოს მოსახლეობის უმრავლესობა ამჟამად ოპოზიციურად იყოს განწყობილი. თუმცა, ისიც გასათვალისწინებელია, რომ საზოგადოება არც ხელისუფლებისადმი არის პოზიტიურად განწყობილი.

ქვეყანაში იდეოლოგიური და ინტელექტუალური კრიზისია. საჭიროა ისეთი თანამედროვე იდეოლოგიის შემუშავება, რომელიც ქვეყანას განვითარების ახალ, თანამედროვე რელსებზე გადაიყვანს. ცვლილებები პრაქტიკულად ყველა სფეროში უნდა მოხდეს. ოპოზიციაც ცვლილებებისკენ უნდა იყოს ადაპტირებული. როდესაც საზოგადოებას პოლიტიკურ სისტემაში რამე ცვლილებებს სთავაზობ, უნდა იყო შეიარაღებული თანამედროვე აზროვნებით, ხედვით, კონცეფციებით, სტრატეგიებით, დოქტრინებით, რომელიც ქვეყანას განვითარების ახალ დინამიზმს შესძენს.

ახლა ქვეყანაში შექმნილი პოლიტიკურ-ეკონომიკური კრიზისი ხასიათდება ინტელექტუალური ეროზიით, ანუ ინტელექტუალური გამოფიტვით, ეკონომიკური რეცესიის და ინსტიტუციური ენტროპიით. ახლა ქვეყანაში იდეოლოგიური, ინტელექტუალური რესურსისა და პოლიტიკური აზროვნების კრიზისია.

**კობა ბენდელიანი**

## პოზიცია

# ზურაბ ნოღაიდელი:

# ვაის რომ გავეყრებით, უის არ უნდა შევეყაროთ!



(მეხუთე გვერდიდან)

მეორე ფაქტორი პოლიტიკური დაპირისპირებაა, რომელიც საზოგადოებაში კვლავ გრძელდება და, როგორც ჩანს, არ დასრულდება, ვიდრე სააკაშვილის რეჟიმი არ შეიცვლება. ამ ფაქტორს დღის წესრიგიდან ვერაფერი ვერ მოხსნის რეჟიმის ცვლილების გარდა. თუ სააკაშვილს ან ვინმეს ჰგონია, რომ ოპოზიცია დაიღლება ან იმდენად დაიღლება, რომ საერთოდ წინააღმდეგობას შეწყვეტს, ეს სრულიად გამორიცხულია. რაც შეეხება მსოფლიო ეკონომიკურ კრიზისს, მისი ზეგავლენა საქართველოს ეკონომიკაზე ისედაც მინიმალურია, ეს ზეგავლენა დარჩება, სანამ მსოფლიო ეკონომიკური კრიზისი არ მოგვარდება. ეს ალბათ 1010 წლის პირველ ნახევარში მოხდება.

**— ბიზნესმენები ხშირად ჩივიან, რომ მიმდინარე მოვლენები მათ ხელს უშლის საქმიანობაში, რა მდგომარეობაშია, რეალურად, დღეს ბიზნესი?**

— მას შემდეგ, რაც მიხეილ სააკაშვილმა დაიწყო ზრუნვა მხოლოდ ხელისუფლების შენარჩუნებაზე, პირველ რიგში, დაიწყო ბრძოლა ძირითადი პოლიტიკური ოპონენტების ბიზნესების წინააღმდეგ, პირველ რიგში ეს ბადრი პატარკაციშვილი, ირაკლი ოქრუაშვილი და მათთან დაკავშირებული ხალხი იყვნენ. შემდეგ ეს წრე გაფართოვდა. საბოლოო ჯამში, არ ებრძვიან მხოლოდ მას, ვინც მათთან არის დაკავშირებული. საკმაოდ გართულდა ამ პერიოდში ბიზნესის კეთება. თუ იმაზე ვისაუბრებთ, რომ პოლიტიკური დაძაბულობა და პოლიტიკური ფონი ხელს არ უწყობს ბიზნესს, ცხადია, არ უწყობს, ეს სრულიად ნათელია.  თუ ვინმეს ილუზია აქვს, რომ ამის გამო ოპოზიცია თავის წინააღმდეგობას შეწყვეტს, ეს ნამდვილად არ მოხდება. უფრო მეტიც, რომ შეწყვიტოს დღეს ოპოზიციამ წინააღმდეგობა, ამით ბიზნესი წელში ვერავითარ შემთხვევაში ვერ გაიმართება. რა თქმა უნდა, ბიზნესს შეუძლია, გააკეთოს განცხადებები თუ ხელი ეშლებათ, მაგრამ გარდა ამისა, ვურჩევდი მათ, სასარგებლო იქნება, რომ სექტორების მიხედვით შეხვდნენ სააკაშვილის პოლიტიკურ ოპონენეტებს, პირველ რიგში 9 აპრილის ორგანიზატორებს ვგულისხმობ, მათთან ერთად განიხილონ საქართველოს მდგომარეობა და ერთმანეთს აზრები გაუზიარონ.

**— ბატონო ზურაბ, თქვენი პროგრამის თანახმად, რა დროა საჭირო, რომ საქართველოში ეკონომიკა გაუმჯობესდეს და ნორმალურ ეკონომიკად ჩამოყალიბდეს?**

— თუ ორიენტირად ავიღებთ 1989 წლის მაჩვენებლზე დაბრუნებას, ამას ჩვენი გეგმით სჭირდება თანმიმდევრული, მუხლჩაუხრელი მუშაობა და სულ მცირე 15 წელი. ჩვენ 15 წელი არ გვექნება, 15 წელი ხელისუფლებაში ვერავინ ვერ იქნება, ცხადია. შესაბამისად, ეს არ არის ერთი და ორი მთავრობის გასაკეთებელი საქმე. 2 500- დოლარიანი ეკონომიკა უცებ 20 000-დოლარიან ეკონომიკად ვერ გადაიქცევა. ერთი მთავრობა შეიცვლება მეორეთი, არა იგივე შემადგენლობის, არამედ სხვა, პოლიტიკური ოპონენტებისგან შემდგარი მთავრობით და იგივე საქმეს გააგრძელებს. ხელისუფლების მშვიდობიანად, არჩევნებით ცვლა საქართველოში ბევრად უფრო მნიშვნელოვანი საკითხია ჩვენი ქვეყნის ეკონომიკური განვითარებისთვის, ვიდრე ნებისმიერი ეკონომიკური პროგრამა. თუ ყოველ 5-6 წელიწადში ან 10 წელიწადში კვლავ პოლიტიკურ დაძაბულობაში აღმოვჩნდით, ისევ ამ მდგომარეობაში ამოვყოფთ თავს.

**— სამართლიანი არჩევნების თემა საკმაოდ აქტუალურია, თქვენი აზრით, როდის ჩატარდება სამართლიანი არჩევნები საქართველოში და როგორ შეიძლება მივიდეთ აქამდე?**

— 2004 წლის არჩევნები იყო ნამდვილად სამართლიანი. არც პოლიციას, არც ერთ სახელმწიფო სტრუქტურას არჩევნებში მონაწილეობა არ მიუღია, რასაც ჰქვია დღევანდელი მონაწილეობა. არც არჩევნების შედეგები იყო მანიპულირებული, მით უმეტეს 2006-ში. 2006-ში მე თვითონ ვატარებდი საარჩევნო კამპანიას საქართველოში, როგორც პრემიერ-მინისტრი. დღეს არჩევნებს ატარებს შინაგან საქმეთა სამინისტრო. იყო არჩევნები, რომლის შედეგები კითხვებს არ იწვევდა. ერთი დარღვევაც რომ არ იყოს, ისეთ არჩევნებს საქართველოში ვერ ჩავატარებთ, მაგრამ ვფიქრობ, რომ მომავალი არჩევნები საქართველოში სწორედ ისეთი იქნება, რომლის შედეგიც ზუსტად ასახავს რეალურ ვითარებას. დარწმუნებული ვიყავი 2006 წელს, რომ საქართველოში არჩევნები არასდროს გაყალბდებოდა, მაგრამ შევცდი. ყველას უნდა გვესმოდეს, რა შედეგს მოუტანს საქართველოს კიდევ ერთი გაყალბებული არჩევნები.

**ინგა შუბითიძე**

ქვირფასი სილუეტები

## თამაზ გოგოტიშვილი:
# ნამეტანი უჟმური ვარ...





**ზოგიერთი მშობლისა გამკვირვებია: თამაზ გოგოტიშვილის სწავლების მეთოდი არ მოსწონს, უხეშია, კაცო, დაუნდობელია, უყვირის ბავშვებს, ყურს უწევს, ხანდახან, რეპეტიციის დროს, შესვენებასაც კი არ აკეთებსო...**

ასეთი „დედიკოსა“ და „მამიკოს“ წუწუნზე ელიმება თამაზს – შუმ გურულს, კასკასა იუმორისა და სიხალისის პატრონს და, რომ ვეკითხები, რატომ გიჩივიან-მეთქი, არაფერს მალავს: კი, ნამეტანი მყრალი ვარ, უჟმური, ზომაზე მეტად მკაცრი იმათ მიმართ, ვინც სულსა და გულს არ აქსოვს რეპეტიციას, აგვიანებს, ჩემი არ ესმის... აბა, როგორ გინდათ?! ბავშვები კი არა, ჩვენ, ზრდასრული ახალგაზრდები ვბუზღუნებდით ზურგს უკან ჩემი (ჩვენიძ ღვთაება, ქართული ცეკვის ქალბატონი ნინო რამიშვილი, ქანცგაწყვეტამდე რომ გვამეცადინებდა... სამაგიეროდ, მისი ფასი, მაინც არავინ გვყავდა... ასეთი „სტილი“ მაქვს, ძამიკო და თუ ვინმეს არ მოსწონს, ჰაიდა – კარები ღიაა!..

ვერ შეედავები – სწორედ ამ „უნიკალური“ რეპეტიციებით, შრომისმოყვარეობით აღწევდა და აღწევს ცნობილი მოცეკვავისა და პედაგოგის თამაზ გოგოტიშვილის ბავშვთა ანსამბლი შეუდარებელ წარმატებებს, როგორც შინ, ასევე საზღვარგარეთ მრავალგვარ ფესტივალზე თუ კონკურსზე გამოსვლისას.

* * *

იგი ბათუმელი კაცია. მუსიკა, ცეკვა, სიმღერა ბავშვობიდანვე იტაცებდა. ჩააბარა კიდეც თბილისის კონსერვატორიის საორკესტრო ფაკულტეტზე, მაგრამ ძვალ-რბილში გამჯდარი ხალხური ცეკვისთვის რა ექნა, თავის დროზე ალექსანდრე ჯიჯეიშვილის უსაყვარლეს შეგირდს? მივიდა „სუხიშვილებში“, როგორც იტყვიან, „დაიჭირა“ გამოცდები და სულ მალე დიდი ილიკოსა და დიდი ნინოს საყვარელი მოცეკვავე და პიროვნება გახდა.

**ილიკო სუხიშვილის (უმცროსი) ნაუბარი:**

– ბავშვობიდან მახსოვს, რა მიღებული იყო ჩვენს ოჯახში ბატონი თამაზ გოგიტიშვილი. მისი იუმორი, ხალისიანი განწყობა, დაუვიწყარია... ჩემი ბებო თამაზის საბავშვო საცეკვაო სტუდიის კონსულტანტი იყო და ხშირად საქმიანი საუბრებიც ჰქონდათ ერთმანეთში. სწორედ სტუდიებში, სწორედ სკოლებში აღზარდა ბატონმა თამაზმა თაობები – ბრწყინვალე მოცეკვავეები, რომლებითაც „სუხიშვილების“ ანსამბლიც „მარაგდებოდა“ და დღესაც, ჩვენთან, რამდენიმე მისი აღზრდილი, ანსამბლის წამყვანი სოლისტია, ერთი განსაკუთრებული თვისება ყოველთვის გამოარჩევს მის აღზრდილებს –ზრდილობა, რომ არაფერი ვთქვათ შრომისმოყვარეობაზე... მახსოვს, 1988 წელს „სუხიშვილები“ და გოგოტიშვილის ბავშვთა ანსამბლი ერთად ვიყავით გასტროლებზე საფრანგეთში, – როგორც დიდებთან, ისე მუშაობდა რეპეტიციებზე თავის ბავშვებთან ბატონი თამაზი. მთელი ჩვენი ოჯახი, მთელი ჩვენი ანსამბლი, რომელშიც, როგორც გითხარით, ბევრია მისი აღზრდილი, სულითა და გულით ულოცავს მას დაბადების – 70 წლისთავს...

**მალე** ჩვენი გმირი პედაგოგის ურთულეს პროფესიას ირჩევს, 1960 წელს თბილისის 39-ე საშუალო სკოლაში მუშაობას იწყებს ქორეოგრაფად. და აი, პირველი წარმატებაც: რესპუბლიკურ ოლიმპიადაზე გოგოტიშვილის ანსამბლი პირველ ადგილს იღებს, 52 ნორჩი მოცეკვავე ოქროს მედლებს, ხოლო, თვითონ ქორეოგრაფი, კალინინის რაიკომის მდივნის სერგო რიგვავას ძალისხმევით, თბილისის მოქალაქე და ერთოთახიანი ბინის პატრონი ხდება... თამაზს მხარში უდგანან, დახმარებას არ აკლებენ ილიკო და თენგიზ სუხიშვილები, ნინო რამიშვილი...

**ექიმ ლადო კახაძის ნაუბარი:**

– ჩემს ცხოვრებაში თამაზ გოგოტიშვილს განსაკუთრებული ადგილი უჭირავს. იერარქიულად ეს ასეა: მშობლები, გამზრდელები და მერე მოდის თამაზ გოგოტიშვილი. მან 39-ე საშუალო სკოლაში (ყოფილი მერვე ვაჟთაძ, თავისი ბრწყინვალე მოსწავლეთა საცეკვაო ანსამბლით, შემოიტანა დიდებული კულტურა ხელოვნების სიყვარულისა, ქართული ხალხური ცეკვის განსაკუთრებული პლასტიკისა. მე ბატონი თამაზის ანსამბლის პირველი თაობის წევრი ვარ, ირინე ფალავასთან ერთად ვცეკვავდი „ქართულს“, და დღესაც ყურში ჩამესმის მისი სიტყვები, ყოველ რეპეტიციაზე რომ გვიმეორებდა მოსწავლეებს: „ცეკვაში განსაკუთრებით ჩანს, რა მართალია, რა სუფთაა საქართველო, ჰოდა, უნდა „მოიწამლოთ“ ჩვენი ფოლკლორის სიყვარულით, ანუ საქართველოს სიყვარულით“.

**მოგზაურობა** უცხოეთში, სახელდახელო გამოსვლები განსაკუთრებული სტუმრების წინაშე... ნორჩი მოცეკვავეების ოსტატობით დამტკბარან მარგარეტ ტეტჩერი, ბეიკერი, შულცი, ბუში... ავ-კარგიანი კაცია თამაზი, ქალბატონი ნინოსა და ბატონი ილიკოს ამაგს ხომ არ ივიწყებს და არ ივიწყებს, ახსოვს აწ გარდაცვლილი განათლების მინისტრების – თამარ ლაშქარაშვილის, ოთარ ქინქლაძის, აგრეთვე, ნუგზარ ფოფხაძის, ვაჟა ლორთქიფანიძის, ვალერი ასათიანის ამაგი, მადლიერია დათო დოიშვილის, პაატა ბურჭულაძის, რომლებმაც არაერთხელ „გამოსცადეს“ გოგოტიშვილის ანსამბლი სხვადასხვა ღონისძიებებში... არც ანსამბლის აკომპანიატორმეგარმონის ნუგზარ ჯაბელაშვილის, პედაგოგ შალვა გოგუაძის დამსახურებას ივიწყებს თამაზი.

– სკოლაში, სადაც ვმუშაობდი – მიამბობს იგი – მიწისძვრამ დარბაზის კედლები დახეთქა და იქ რეპეტიციების ჩატარება საშიში გახდა. ამის გამო დარბაზში შესვლაც კი ამიკრძალეს, რამაც ძალიან დამადარდიანა. წავედი ოპერის თეატრის დირექტორთან ბატონ ზურაბ ლომიძესთან. ჩემს ბედზე ჯანო კახიძე და ზურაბ ლომიძე ერთად ისხდნენ კაბინეტში და საუბრობდნენ. ჯანომ რომ დამინახა, მკითხა – რას ჩამოგტირის სახე? შენ და მოწყენა? გოგოტიშვილო, ასეთი დაღვრემილი სახით პირველად გნახე, არ გავხარ გოგოტიშვილსო. მეც ვუამბე ყველაფერი. ბატონმა ზურაბმა გულთან ახლოს მიიტანა ჩემი გასაჭირი და, იქვე, ორივემ ერთად გადაწყვიტეს, ჩემთვის დარბაზი მოეცათ. მეორე დღიდანვე შევუდექი მუშაობას თბილისის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრში, სადაც უკვე 16 წელია ვარ. როდესაც თეატრში ახალი დირექტორი დათო საყვარელიძე მოვიდა, თავისთან მიხმო. მე შევწუხდი, მეგონა თეატრიდან გამიშვებდა, მაგრამ ჩემი შიში ამაო აღმოჩნდა. პირიქით, იგი მხარში ამომიდგა და მეხმარებოდა, როგორც შეეძლო. მისმა ყურადღებამ ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა. ჩემს ბავშვებს ჩააცვა და დაახურა. უღრმესი მადლობა ბატონ დათო საყვარელიძეს ასეთი თანადგომისთვის.

ჩემი და ჩემი ბავშვების სახელით დიდი მადლობა მინდა გადავუხადო ქალბატონ ნინო ანანიაშვილს. მისი წყალობით ყოველდღიურად 5 საათი დარბაზი ჩვენს განკარგულებაშია. ამასთან ერთად, ხუთივე ბიჭს შეუძინა აზიურები და ახალუხები. თვე არ გავა, რომ მას სტუმრები არ ჰყავდეს უცხოეთიდან. მისი რეპეტიციების შემდეგ ისინი ჩვენს სანახავადაც მოჰყავს და ჩვენც დიდი სიხარულით ნახევარსაათიან პროგრამას ვაჩვენებთ.

**ნინო ანანიაშვილის ნაუბარი:**

– მე ბევრჯერ მიგრძვნია თუ როგორ უნერგავს ბატონი თამაზი თავის ყმაწვილებს არა მარტო ჩვენი ხალხური ცეკვის დიდ სიყვარულს, არამედ ზრდის კიდეც მათ ნამდვილ მოქალაქეებად, ნამდვილ პატრიოტებად – მე დარწმუნებული ვარ, რომ ამ მოცეკვავეებს, როდესაც ისინი უკვე სხვადასხვა ანსამბლებში მიმოიფანტებიან, ან პედაგოგიურ მოღვაწეობას შეუდგებიან, აუცილებლად გამოადგებათ თამაზ მასწავლებლის გაკვეთილები, მისი დისციპლინირებული რეპეტიციები.

**ახლა ანზორ ერქომაიშვილს მოვუსმინოთ:**

– პირდაპირ ვიტყვი: თამაზ გოგოტიშვილი დიდი კაცია, რადგან მან განუზომელი როლი შეასრულა ჩვენი მოსწავლე-ახალგაზრდობის აღზრდის საქმეში – სულით ხორცამდე შეაყვარა მათ ეროვნული საცეკვაო ფოლკლორი. საქართველოში ანსამბლი არ არის, რომ ბატონი თამაზის აღზრდილები არ ამშვენებდნენ... აღსანიშნავია, რომ მისმა ერთ-ერთმა ბავშვთა საცეკვაო ანსამბლმა ჩვენი „მართვეს“ მომღერლებთან ერთად სახელმწიფო პრემია მიიღო. ეს კი, მოგეხსენებათ, პატარა საქმე არ არის...

**ფრიდონ სულაბერიძე ასე ახასიათებს:**

– მე რასაც ვუყურებ, ასეთი თავდადებული, ასეთი ფანატიკურად შეყვარებული თავის საქმეზე, ბავშვებთან მუშაობაზე, თითქმის არ შემხვედრია. მან, შეიძლება ითქვას, კლასიკურ დონემდე აიყვანა ბავშვთა ქორეოგრაფია და ამით, ჭეშმარიტად, ეროვნულ საქმეს აკეთებს. მუშაობს, მოღვაწეობს თავისთვის, ათას სიძნელეს ეჭიდება, არავის საქმეში არ ერევა, სავსეა კეთილშობილებით და ასეთი კაცები, დიახაც, რომ აკლია დღევანდელ საქართველოს!

...ანსამბლი, რომელსაც **„შეჯიბრი“** ჰქვია, სრულიად უნიკალურია – სულ 6 ბავშვს აერთიანებს (არც ბავშვები ეთქმით, უკვე სკოლას ამთავრებენძ, ათი წელია იღვწის მათთან თამაზ გოგოტიშვილი, ერთსაათიანი პროგრამა აქვთ და მაყურებელს აოცებენ თავიანთი ოსტატობით თაკო და გოგა გაგნიძეები, პეტრე ზედელაშვილი, ლევან გიორგაძე, ჯიმი ფანჯავიძე და ლაშა გაბიჩვაძე... სად არ იყვნენ, რა ქვეყნები და ქალაქები არ მოიარეს, ვის არ აგრძნობინებს „ქართული გენია – ცეკვით განფენილი“ და უკვე მზად არიან დიდი ანსამბლებისთვის... მათი სამოცდაათი წლის მკაცრი, მომთხოვნი, მაგრამ უსაყვარლესი პედაგოგი – საქართველოს დამსახურებული მასწავლებელი, ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე, სახელმწიფო პრემიის ლაურეატი და ღირსების ორდენის კავალერი, ღვთის ნებით, კვლავაც თავიდან დაიწყებს და ახალ-ახალ ბარტყებს დააფრთიანებს!

**ვილენ მარდალეიშვილი.**

**სურათებზე: მასწავლებელი და შეგირდები – ანსამბლი „შეჯიბრი“.**

ინფორმაცია

## „ბასიშვილის ზონდერბრიგადა ტელევიზიას იცავს“

**„ალიანსი საქართველოსთვის“ ერთ-ერთი ლიდერის მანანა ნაჭყებიას განცხადებით, გუშინ პირველი არხის ეზოში, სპეცრაზმელებთან და დაცვის პოლიციის თანამშრომლებთან ერთად, იმყოფებოდა დიდი ლიახვის ხეობის მაჟორიტარი დეპუტატი ბადრი ბასიშვილიც.**

**იქ არიან ბასიშვილი და მისი ზონდერბრიგადის ხელმძღვანელები – ჯანგირ მაისურაძე და გია ოთინაშვილი. ეს ის ხალხია, რომლებიც ირაკლი ოქრუაშვილის ოფისში შეიჭრნენ. მე ვსვამ კითხვას, დაკარგული ტერიტორიების დეპუტატს, რომლის ამომრჩევლებსაც უამრავი პრობლემა აქვთ, რა ესაქმება პირველი არხის ეზოში და რატომ არის მისი ფუნქცია ამ არხის გამაგრება, – აღნიშნა ნაჭყებიამ.**

**მისივე განცხადებით, ბასიშვილის იქ ყოფნა კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ ბასიშვილი და კიდევ რიგი პოლიტიკური ფიგურები ზონდერბრიგადების ხელმძღვანელები არიან.**

## რესპუბლიკელთა ფრაქცია გურჯაანის საკრებულოში

**გურჯაანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რესპუბლიკელმა წევრებმა ფრაქცია „რესპუბლიკელები“ შექმნეს. როგორც კახეთის საინფორმაციო ცენტრს ფრაქცია „რესპუბლიკელების“ ერთ-ერთმა წევრმა ზვიად ყვირალაშვილმა განუცხადა, ფრაქცია საკრებულოს წინაშე სხვადასხვა ინიციატივების დაყენებას გეგმავს.**

**ყვირალაშვილის თქმით, ამ დროისთვის ფრაქცია სამი წევრისგან შედგება. აქედან, ორი წევრი ფრაქცია „სახალხო მოძრაობიდან“ გადავედით, ერთი წევრი კი შემოგვემატა, – განაცხადა ყვირალაშვილმა.**

**ოფიციალური მონაცემებით, გურჯაანის მუნიციპალიტეტის საკრებულოში ოთხი ფრაქცია მუშაობს. ფრაქციის თავმჯდომარის ყოველთვიური ხელფასი ადგილობრივი ბიუჯეტიდან ფინანსდება და 650 ლარს შეადგენს.**

## ქრისტიან დემოკრატებში არავითარი განხეთქილება არ არსებობს

**ქრისტიან დემოკრატიული მოძრაობის თელავის რაიონული ორგანიზაციის აღმასრულებელი მდივანი ვანო გალახვარიძე უარყოფს გავრცელებულ ინფორმაციას, თითქოს პროტესტის ნიშნად, პარტიის რამდენიმე წევრმა მოძრაობა დატოვა.**

**ნონა ბაღუაშვილი, რომელიც აღნიშნავს, რომ ქრისტიან დემოკრატიული მოძრაობა პროტესტის ნიშნად დატოვა, პარტიის რაიონული ორგანიზაციის რეორგანიზაციის შედეგად გათავისუფლდა. რაც შეეხება ერეკლე ცოცანიძეს, ის პარტიიდან დიდი ხანია რაც წავიდა სხვა სამსახურში გადასვლასთან დაკავშირებით, – განუცხადა გალახვარიძემ კახეთის საინფორმაციო ცენტრს.**

**ინფორმაცია იმის შესახებ, რომ ქრისტიან დემოკრატიული მოძრაობა თელავის ორგანიზაციის პრესმდივნის მოვალეობის შემსრულებელმა ნონა ბაღუაშვილმა დატოვა, ორი დღის წინ გავრცელდა. ბაღუაშვილი პარტიის დატოვების მიზეზად ადგილობრივი ორგანიზაციის ხელმძღვანელების არასწორ ქმედებებს ასახელებს.**

ინტერპრესნიუსი და ჯი-ეიჩ-ენი

## რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

# კავკასია უპოლიტიკოდ

**რუსეთმა მაინც ვერ დაარწმუნა ევროპის საზოგადოებრივი აზრი იმაში, რომ სამხრეთ ოსეთსა და აფხაზეთს აქვთ დამოუკიდებლობის უფლება.** ამის მაჩვენებელი გახდა ამჟამად საფრანგეთის ქალაქ სტრასბურგში მიმდინარე ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეის საგაზაფხულო სესია. ეს ორგანიზაცია, რომელიც ამ დღეებში აღნიშნავს თავის 60 წლისთავს, აერთიანებს ევროპის კონტინენტის 47 ქვეყანას (რუსეთის ჩათვლითძ მოსახლეობის საერთო რაოდენობით – 800 მილიონი ადამიანი.

ხალხის რჩეულები წევრი ქვეყნებიდან განიხილავდნენ კავკასიაში ჰუმანიტარულ სიტუაციას და ისინი უმთავრესად აკრიტიკებდნენ მოსკოვს 2008 წელს ამ ორი რესპუბლიკის დამოუკიდებლობის აღიარების გამო. რუსეთის პოზიციის დასაცავად გამოვიდა მხოლოდ ერთი დელეგაცია – რუსეთისა. მაგრამ მისი პოლიტიკური არგუმენტები სხვა ქვეყნების დელეგატებისთვის სარწმუნო არ აღმოჩნდა.

მაგალითად, კომუნისტების ლიდერმა გენადი ზუგანოვმა შეგვახსენა იმის შესახებ, რომ დისკუსია მიმდინარეობს სხვა მნიშვნელოვანი პრობლემების ფონზე ისეთებისა, როგორიცაა საფინანსო კრიზისი. „სამართლიანი რუსეთის" წარმომადგენელმა ანატოლი კოროზეინიკოვმა საერთოდაც კი გამოაცხადა პოლიტიკური დებატები „დროის უსარგებლო დაკარგვად" და მოუწოდა სესიის მონაწილეებს განიხილონ მხოლოდ ჰუმანიტარული ასპექტები.

რუსეთის დელეგაციის ხელმძღვანელმა კონსტანტინ კოსაჩევმა კვლავ შესთავაზა მათ გაიხსენონ, რომ ომი 2008 წლის 8 აგვისტოს ღამით დაიწყო საქართველომ. ისტორიული ექსკურსი ემოციური იყო, მაგრამ მან გულგრილი დატოვა მისი კოლეგები, რომლებსაც აინტერესებდათ რეგიონში ამჟამინდელი საქმის ვითარება და პროგნოზები მომავლისთვის. ეს განწყობილება დაიჭირა მეორე რუსმა პარლამენტარმა – ლეონიდ სლუცკიმ. „ახლა არ არის საჭირო იმის გარკვევა, თუ ვინ არის დამნაშავე. უნდა ვიზრუნოთ ჰუმანიტარული სიტუაციის გაუმჯობესებისთვის", – განაცხადა მან კამათში გამოსვლის დროს.

დეპუტატმა შვედეთიდან მარიეტა დე პურბე-ლუნდენმა თავის მოკლე გამოსვლაში რუსეთის მიერ წარმოდგენილ დასკვნებს უწოდა „კატა-თაგვობანას" თამაში სიმღერიდან – „უკან სსრ კავშირში" – „ბითლზების" რეპერტუარიდან. მან და სხვა პარლამენტარებმა შეახსენეს, რომ მათი ორგანიზაციის ორი წინა რეზოლუციებიც, რომლებიც მიღებული იყო ომის ცხელ კვალზე კავკასიაში, მოითხოვდნენ რუსეთისგან, უარი ეთქვა სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის დამოუკიდებლობის აღიარებაზე. მოსკოვმა ეს უგულებელყო და არავითარი სანქციები არ მიუღია ამასთან დაკავშირებით.

სესიის რეგლამენტი არ ითვალისწინებდა ხანგრძლივ და მხურვალე დავებს. პროტოკოლმა კამათში გამოსვლების რეგლამენტი განსაზღვრა სამი წუთით. ამ მოთხოვნას მკაცრად იცავდნენ, მიუხედავად ზოგიერთი დეპუტატის თხოვნისა, მიეცათ ნება თუნდაც ფრაზის დამთავრებისთვის, როდესაც ეს გამოსვლები წყდებოდა ზარით რეგლამენტის დამთავრების შესახებ. მთავარი პირობა იყო ის, რომ განხილულიყო არა პოლიტიკა, არამედ კონფლიქტის ზონაში მცხოვრები ადამიანების პრობლემები. ანგარიში „საქართველოსა და რუსეთს შორის ომის ჰუმანიტარული შედეგების შესახებ" გააკეთა ნიდერლანდის დეპუტატმა კორიენ იონკერმა, რომელიც რეგიონში იმყოფებოდა მარტში. თავად დასახელებაც მისი გამოსვლისა მეტყველებს იმის შესახებ, რომ ევროპაში 2008 წლის აგვისტოს კონფლიქტი ჯერჯერობით არც კი აღუქვამთ, როგორც ომი საქართველოსა და სამხრეთ ოსეთს შორის, არამედ მას აღიქვამენ, როგორც „ომს რუსებსა და ქართველებს შორის".

კონსტანტინ კოსაჩევის შეფასებით, წარმოდგენილი მოხსენება იყო „კორექტული და ძლიერი", თუმცა მასში იყო „ბევრი შეცდომა, როდესაც ავტორი განიხილავდა პოლიტიკურ თემებს". მას მხედველობაში ჰქონდა ის ფაქტი, რომ მისმა კოლეგამ გამოიყენა თავის გამოკვლევაში გამონათქვამი „ოკუპირებული ტერიტორიები" სამხრეთ ოსეთის ცალკეული რაიონების მისამართით, კერძოდ კი ახალგორის მისამართით.

„ჩვენ კმაყოფილი ვიყავით იმით, რომ გაისმა სიტყვა „ოკუპაცია". ხომ ცნობილია, თუ ვინაა ოკუპანტი", – განაცხადა საქართველოს დელეგაციის ხელმძღვანელის მოადგილემ გიორგი გაბაშვილმა, რომელსაც ასევე მოეწონა მოხსენება.



კორიენ მიონკერი საუბრობდა იმის შესახებ, რომ კონფლიქტის ზონაში მცხოვრებ ხალხს სჭირდება საფინანსო, სამედიცინო და სხვა დახმარება. მან მოუწოდა ჰუმანიტარულ ორგანიზაციებს გაააქტიურონ ძალისხმევა, ხოლო კონფლიქტის მხარეებს – წინააღმდეგობის გარეშე გაატარონ დახმარება დაზარალებულ ქალაქებსა და სოფლებში. ეს აისახა რეზოლუციაში, რომელსაც ხმა მისცეს დეპუტატებმა განხილვის შედეგების მიხედვით. დოკუმენტში არის მნიშვნელოვანი მომენტი იმის შესახებ, რომ კონფლიქტის მხარეებმა არ უნდა გამოიყენონ ძალები თავიანთი დავების გადასაჭრელად.

სამხრეთ ოსეთში, ხაზგასმით აღნიშნა მომხსენებელმა, ჯერ კიდევ არ ჩასახლებულან ცალკეულ საცხოვრებლებში 3 ათასზე მეტი ლტოლვილი. კიდევ 1,5 ათასი რჩება მოსაზღვრე ჩრდილოეთ ოსეთში, სადაც ისინი გაიქცნენ ომის დღეებში. ოსებს ჯერ არ მიუღიათ მოსკოვის დაპირება 10 მილიარდი რუბლის დახმარების შესახებ (ერთ-ერთმა რუსმა დეპუტატმა შემდეგ განმარტა, რომ უკვე გამოყოფილია პირველი ტრანში – 1,5 მილიარდი რუბლის ოდენობითძ. კონფლიქტის ზონიდან გამოიქცა დაახლოებით 130 ათასი ქართველი, 26 ათასი მათგან დარჩა თბილისსა და სხვა ქალაქებში „კოლექტიური ცხოვრების ცენტრებში".

რეგიონში სიტუაციის საერთო მდგომარეობის შესახებ იქ მყოფი ბელგიელი ლუკ ვან დენ ბრანდესა და უნგრელი მათიაშ იორშის მოხსენებები არ იყო სასიამოვნო რუსეთისთვის, მაგრამ მათში იყო დაბალანსებული კრიტიკაც საქართველოს მისამართით. მაგალითად, „კანონისთვის ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ", რომელიც მიიღო საქართველოს პარლამენტმა 2008 წლის 28 ოქტომბერს. იგი არღვევს საერთაშორისო ნორმებს. აფხაზეთს და სამხრეთ ოსეთს ამ კანონის გამო წართმეული აქვთ შესაძლებლობა იქონიონ სრულუფლებიანი ურთიერთობა გარე სამყაროსთან: ქართველებმა, თავის მხრივ, მოაწყვეს ამ რეგიონების სატრანსპორტო ბლოკადა.

რუსეთს კი მოხვდა „კონფლიქტის ზონაში სამხედრო ყოფნის გამო" და „საერთაშორისო მეთვალყურეების შეღწევის შეზღუდვისთვის". მაგრამ პოლიტიკური რეზოლუცია ამჯერად მიღებული არ ყოფილა. განხილვა გაგრძელდება სესიაზე ივნისში და უფრო დაწვრილებით კი ოქტომბერში. როგორც რუსებსაც უნდოდათ, ამჯერად არ ყოფილა პოლიტიკა, სანქციებით დაშინება და სკანდალები.

**ელენა სუპონინა**

ВРЕМЯ НОВОСТЕЙ

# უშიშროების ფედერალურ სამსახურს სთხოვენ, უფრო ახლოს დადგეს

**გასულ უქმე დღეებში რუსეთის სასაზღვრო ჯარებმა დაიწყეს სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის საქართველოსთან საზღვრების დაცვა – იმ შეთანხმებების შესაბამისად, რომლებსაც მოსკოვმა ხელი მოაწერა სოხუმსა და ცხინვალთან.** ევროსაბჭოსა და ნატოში კონფლიქტის ზონაში რუსეთის მესაზღვრეების შეყვანას უკვე უწოდეს მედვედევ-სარკოზის მოლაპარაკების დარღვევა, თბილისში კი ამ ნაბიჯს უწოდეს, როგორც „რუსეთის შურისძიება" ნატოს სამხედრო სწავლების გამო, რომელიც საქართველოში დაიწყება 6 მაისს.



ორმხრივი შეთანხმების ხელმოწერა რუსეთსა და – აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთს შორის – მოხდა გასულ ხუთშაბათს მოსკოვში, უკვე პარასკევს კი რუსეთის ფედერაციის სასაზღვრო ნაწილები შევიდნენ სამხრეთ ოსეთის ახალგორის რაიონში. „იმდენად, რამდენადაც სწორედ ახალგორში არის ყველაზე მეტი ალბათობა ქართული მხრიდან შეჭრისა, ამ რაიონს ეთმობა განსაკუთრებული ყურადღება, – გვაცნობა სამხრეთ ოსეთის ინფორმაციისა და ბეჭდვითი სიტყვის საქმეთა მინისტრმა ირინა გაგლოევამ. – მომავალ კვირას რუსი მესაზღვრეები დაიკავებენ ყველა სასაზღვრო რაიონს – ზნაურის, ჯავისა და ცხინვალის რაიონებს".

რუსი მესაზღვრეების მოსვლა ახალგორში არ დარჩათ უყურადღებოდ არც თბილისში და არც დასავლეთში. საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრმა გრიგოლ ვაშაძემ განაცხადა, რომ რუსეთმა შეიყვანა დამატებითი ჯარები: დაახლოებით 50 სამხედრო მოსამსახურე, აგრეთვე სამხედრო ტექნიკა, რაც, ქართული მხარის აზრით, არის ცეცხლის შეწყვეტის შესახებ ხელშეკრულების უხეში დარღვევა. რუსი მესაზღვრეების ამ ზონაში განთავსების გამო შეშფოთება გამოთქვეს ევროკავშირმა და ნატომ, რომლებმაც ამ ნაბიჯს უწოდეს მედვედევ-სარკოზის გეგმის დარღვევა.

რუსეთის ფედერაციის თავდაცვის სამინისტროს წარმომადგენლები უარყოფენ ამგვარ შეფასებას და აცხადებენ, რომ არც ახალგორში, არც სხვა რაიონებში დამატებითი ძალები არ შეუყვანიათ. ამ დროს რეგიონალური სასაზღვრო სამმართველოს უფროსმა ნიკოლაი ლისინსკიმ ცხინვალში მოაწყო პრესკონფერენცია, რომელზეც განაცხადა, რომ „რუსეთის ფედერაციასა და სამხრეთ ოსეთს შორის საერთაშორისო შეთანხმების შესაბამისად რუსეთის მესაზღვრეები უკვე შესული არიან რესპუბლიკაში და გავიდნენ საზღვარზე".

თბილისში დარწმუნებული არიან, რომ შეთანხმება რუსი მესაზღვრეების შესვლის შესახებ აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში ხელმოწერილი იქნა ერთი მიზნით – აჩვენონ დასავლეთს, რომ ნატოს ნებისმიერ აქტიურობას კავკასიაში შეხვდება ადეკვატური პასუხი რუსეთის მხრიდან.

**ოლგა ალიონოვა**

Коммерсантъ

## დედამიწის ზურგზე



**ახალი პარლამენტის არჩევასთან დაკავშირებით გადადგა მოლდოვის მთავრობა**

სამშაბათს გაიმართება ახალი პარლამენტის პირველი სხდომა, რომელიც დაამტკიცებს მინისტრების გადადგომას. მაგრამ ისინი გაგრძელებენ თავიანთ მოვალეობათა შესრულებას ახალი მთავრობის ჩამოყალიბებამდე. პარლამენტის არჩევნების დროს აპრილში იყო მასობრივი უწესრიგობანი კიშინიოვში.

* * *

**ჩინელ ჩინოვნიკებს უბრძანეს, აქტიურად ეწეოდნენ სიგარეტს, რათა მხარი დაუჭირონ ეკონომიკას**

მთლიანად სახელმწიფო სამსახურის თანამშრომლებს ხუბეის პროვინციაში მოუწევთ მოწიონ 230 ათასი კოლოფი ადგილობრივი წარმოების სიგარეტი. მათ, ვინც ვერ შეასრულებს გეგმას, ანდა დაიწყებს „მტრების" მარკის სიგარეტების წევას, ჯარიმები ემუქრებათ. სპეციალური ინსპექტორები უკვე ამოწმებენ ურნებსა და საფერფლეებს.

* * *

**კონდოლიზა რაისი გამოვიდა დაკითხვის მკაცრი მეთოდების დასაცავად**

„ეს იყო ბრძოლა, ეს იყო ძნელი პერიოდი", – აღნიშნა მან, როდესაც გაიხსენა 2001 წლის 11 სექტემბრის მოვლენები. დაზვერვის ცენტრალური სამმართელოს მუშაობას ბუშის პრეზიდენტობის დროს იკვლევს ახალი ადმინისტრაცია.



სენატის მონაცემებით, რაისი პირადად იწონებდა ისეთი წამების გამოყენებას, როგორიცაა დახრჩობის იმიტაცია.

* * *

**კრიზისი ნეპალში იმუქრება მაოისტების მთავრობის დამხობით**

კრიზისი გაჩაღდა კვირას სახმელეთო ჯარების სარდლის რუკმან გუდა კატავალის გადადგომასთან დაკავშირებით. მიუხედავად იმისა, რომ ნეპალის მთავრობის ხელმძღვანელმა გადააყენა გენერალი, პრეზიდენტმა რამ ბარან იადავმა უბრძანა გენერალური შტაბის უფროსს, დარჩეს პოსტზე.



* * *

**ამერიკის შეერთებულმა შტატებმა ოფიციალურად სთხოვა გერმანიას, მიიღოს გუანტანამოს ციხის ტუსაღები**

თავისი თხოვნა ვაშინგტონმა გაამყარა 10 ადამიანის სახელითა და შესაბამისი ინფორმაციით. გერმანიის მთავრობას მოუწევს გადაწყვიტოს, წარმოადგენს თუ არა ეს ნაბიჯი ხიფათს ქვეყნისა და ევროკავშირის მოსახლეობისთვის მთლიანად.

* * *

**მეხიკოში ღორის გრიპით აღარავინ დაღუპულა, მაგრამ ქალაქი პრაქტიკულად პარალიზებულია**

ამ სენით დაღუპულთა რაოდენობა, უკვე მესამე დღეა, აღარ დაფიქსირებულა. თუმცა პანდემიის საფრთხე მაინც შენარჩუნებულია. ავადმყოფობამ მოიცვა 18 ქვეყანა, ხოლო ვაქცინები ღორის გრიპის წინააღმდეგ არ იქნება კიდევ რამდენიმე თვე.

სიახლე

# გონიერსა მოწვრთნელი უყვარს

**ახლახან გამოვიდა პროფესორ ამირან მექვაბიშვილის 300-გვერდიანი წიგნი „მოქალაქეობათმცოდნეობა", რომელიც ჩვენი მოსწავლე და სტუდენტი ახალგაზრდობისთვის დამხმარე სახელმძღვანელოდ არის განკუთვნილი.**

„წიგნის სათაური შემთხვევით არ შეგვირჩევია, — წერს ავტორი, ქვეყნის წინაშე მდგარი პრობლემების გადასაჭრელად მუხლჩაუხრელი შრომა და ნათლად გამოკვეთილი მოქალაქეობრივი პოზიციაა საჭირო, საქართველოს ნებისმიერმა მოქალაქემ, მიუხედავად ეროვნებისა და პროფესიისა, ხელი უნდა შეუწყოს საკუთარი სამშობლოს კეთილდღეობასა და აყვავებას; არ დაიშუროს ამისთვის უნარი, გამოცდილება და ცოდნა".




ამ სტრიქონებში ცხადად იკვეთება ის მიზანი, რისთვისაც დაიწერა ეს მეტად საჭირო და საყურადღებო წიგნი. ავტორის მიზანია ამ წიგნით ხელი შეუწყოს და დაეხმაროს საქართველოს დღევანდელ თუ ხვალინდელ ახალგაზრდობას, რათა იგი გახდეს ქვეყნის ღირსეული ბატონ-პატრონი.

პროფესორი ამირან მექვაბიშვილი საქმის ცოდნით, საინტერესო პრაქტიკული მაგალითების მოშველიებით ცდილობს წარმოაჩინოს ადამიანის ფიზიკური და სულიერი აღზრდის საუკეთესო შესაძლებლობანი და გარემოებანი. ავტორი ფართო პლანით განიხილავს ზნეობრივი აღზრდის როლს ახალგაზრდა თაობის ჰარმონიულ განვითარებაში, რელიგიური და ზნეობრივი აღზრდის ურთიერთობის აუცილებლობას, დაბეჯითებით საუბრობს სამშობლოს სიყვარულზე, როგორც უმაღლეს ზნეობაზე. განსაკუთრებული ადგილი ეთმობა საკითხს: „ოჯახის როლი ადამიანის, როგორც მოქალაქის ჩამოყალიბებაში", ასევე განხილულია სკოლის, უმაღლესი სასწავლებლის როლი მომავლის თაობის აღზრდასა და ფორმირებაში. ავტორი ითვალისწინებს იმ გარემოებას, რომ ცალკეული ადამიანების სრულყოფილი აღზრდით ქვეყანაში იქმნება და უნდა შეიქმნას საზოგადოება, რომელიც ერისა და ქვეყნის წინსვლისა და განვითარების გადამწყვეტი ძალა იქნება.

ავტორი სათანადო ადგილს უთმობს შრომისმოყვარეობას, ურთიერთთანადგომას, სიყვარულს, დედაშვილობას და სხვ, ეხება ახალგაზრდობაში ქცევის კულტურის წესების დამკვიდრებას.

ერთი სიტყვით, ავტორი აღზრდის ყველა ფაქტორს განიხილავს და შესანიშნავ რეკომენდაციებს გვთავაზობს. მას აქვე მოჰყავს ქართველი მწერლების, პოეტების სასულიერო და სულიერი პირების სათავგადასავლო ეპიზოდები.

ავტორი პრინციპულად ეხება იმ ნაკლოვანებებს, რასაც გამოუსწორებელი შედეგები მოაქვს, თუ მათ დროულად არ მივხედავთ. იგულისხმება ქედმაღლობა, კონფლიქტურობა, ალკოჰოლისადმი ზედმეტი მისწრაფება. მას მოსდევს ისეთი საშინელი და დამღუპველი სენი, როგორიცაა ნარკომანია, რომელიც ადამიანის სულიერ და ფიზიკურ დეგრადაციას იწვევს.

ავტორი წიგნში გვაცნობს ადამიანს უფლებათა და თავისუფლებათა განმსაზღვრელ დოკუმენტებს. აქ წარმოდგენილია: „ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის სათათბიროს დასკვნითი აქტი", აქვე მოყვანილია საქართველოს კონსტიტუციის მეთოთხმეტე მუხლი, რომელიც გვამცნობს ჩვენს ქვეყანაში ადამიანის უფლებებსა და თავისუფლების პარამეტრებს.

პროფესორ ამირან მექვაბიშვილის წიგნი „მოქალაქეობათმცოდნეობა" კარგ დახმარებას გაუწევს როგორც ჩვენს ახალგაზრდობას აღზრდის ტრადიციული, ქართული გამოცდილების შესწავლა-ათვისებაში, ისე უმაღლესი სასწავლებლების პროფესორ-მასწავლებლებს ამ დიდი პრობლემების გააზრება-გადაწყვეტაში.

**იზოლდა ბერაძე,**
**იზოლდა ქაფიაშვილი,**
**პროფესორები.**

„ზვიად გამსახურდია — 70"

*1955 წელი. მოსკოვი. კონსტანტინე გამსახურდიას წერილი ვაჟისადმი: „მე სულ მგონია, როცა მე შენს ახლოს არა ვარ, შენ ჭკვიანად იქნები. მე, ერთის მხრივ, გული მტკივა, რომ შენი ბავშვობა თავდება, მეორეს მხრივ, მიხარია, რომ შენ სადაცაა ყველა ჩემს სურვილს გაიგებ და მალე მხარში ამომიდგები. ალბათ შენთვის დამიწერია (თუ მითარგმნია) ჰომეროსის სიტყვები: „ზევსს გეფიცები, აგელაი, ზევსს და მამაჩემის ტკივილებს". ჩვენ ვცხოვრობთ ძლიერ სერიოზულ დროში და აწი დროა, სერიოზულად ემზადო, რათა შესძლო გახდე ჩვენი ქვეყნის ღირსეული შვილი. გზაში მე გადავიკითხე შენი საყვარელი მუსიკოსების ბიოგრაფია. ყველანი უკვე სიყრმიდანვე ემზადებოდნენ დიდი ამბებისთვის. გახსოვდეს, ეს ცხოვრება მოსაწყენზე მოსაწყენია, თუ ადამიანი არ იწვის მაღალი და ზეაღმტაცის ამბებისთვის. ამის გარეშე სხვა ყველაფერი ემსგავსება იმ საცოდავ და უშინაარსო ცხოვრებას, რომელსაც ეწევიან ხოლმე მცენარეები და ცხოველები. თუნდაც ჩემი გამწარებული ცხოვრებაც რომ აიღო, მე რომ იდეებისთვის მოლაშქრედ არ წარმომედგინა ჩემი თავი, ველარ გავუძლებდი იმ ქარიშხლებს, რომელთა გადატანაც ასე თუ ისე შევძელი..." ასე ამზადებდნენ სიყრმიდანვე მაღალი იდეებისთვის ზვიად გამსახურდიას, რომელმაც საქართველოს ბედი შეცვალა.*

# როგორ მოძღვრავდა კონსტანტინე გამსახურდია თავის ვაჟს

## გაზეთის სპეციალური გამოცემა საქართველოს პირველ პრეზიდენტს მიეძღვნა

31 მარტი, 9 აპრილი, 26 მაისი — მთელი გაზაფხული ქართველი ერის თვითშეგნებისა და გამორკვევის ამაღლებულ დღესასწაულებს აღვნიშნავთ, რომელიც უშუალოდ უკავშირდება ზვიად გამსახურდიასა და მერაბ კოსტავას უკვდავ სახელებს.

საქართველოს პირველი პრეზიდენტის 70 წლის იუბილეს მიეძღვნა სპეციალური გაზეთი „ზვიად გამსახურდია-70", რომლის წარდგინებაც სავლე წერეთლის ფილოსოფიის ინსტიტუტში გაიმართა. სტუმრებს წარმოადგენდნენ უზენაესი საბჭოს წევრები, პოეტები, პრეზიდენტის თანამებრძოლები, ან უბრალოდ, თაყვანისცემლები.




მწერალმა **ლაშა გვასალიამ** აღნიშნა, რომ სწორედ ზვიად გამსახურდიამ შეასხა მწერლური ფრთები, ხოლო შემოქმედებისა თუ უბრალო ადამიანების არსებობის ფორმა შეცვალა.

საიუბილეო გამოცემაში მოცემულია დოკუმენტური ფაქტები ქართული სახელმწიფოებრიობის აღდგენის შესახებ, ზვიად გამსახურდიას მიმართვის სიტყვები. **ნუგზარ წიკლაურის** სიტყვა, რომელიც ასე მთავრდება: „გარდასული და მიმდინარე პროცესების შეფასება და გადაფასება დროის პრეროგატივაა: ზოგი რამ გაქრება, დავიწყებას მიეცემა, მაგრამ არსებობს დაუვიწყარი ღირებულებები. ზვიად გამსახურდია სწორედ ამ ღირებულებათა სიმბოლოა".

ფილოსოფიის ინსტიტუტის დირექტორი **ირაკლი კალანდია** ვარაუდობს, რომ დადგება დრო, როცა გამსახურდიას წმინდანად შერაცხავენ და ამით დაუფასებს ერი გმირობას. გაზეთის პასუხისმგებელმა რედაქტორმა **მურმან ზაქარაიამ** აღნიშნა, რომ დღესაც იმ სახელმწიფოებრივ გზაზე დგას საქართველო, რომელსაც საფუძველი ზვიად გამსახურდიამ ჩაუყარა. უზენაესი საბჭოს თავმჯდომარემ **ნემო ბურჭულაძემ** ერთი საინტერესო ამბავი გვიამბო იქ შეკრებილთ. გურული ბიჭი, რომელიც „ქურდულ ცხოვრებას" ეწეოდა, სვეტიცხოველში შესულა. იქ ზვიადი დაუნახავს სანთლით ხელში მლოცველი. ერთმანეთს გამოლაპარაკებიან, მერე რამდენჯერმე შეხვედრია და... „ავაზაკი" უფლის გზას შესდგომია. ბერად აღკვეცილისთვის ზვიადს უთხოვია: მამაო, შეიძლება დაგემოწაფოო?

დღეს ზოგი ამბობს, თავისუფლება თავისით მაინც მოვიდოდა, მსხვერპლი არ იყო საჭიროო, მაგრამ ავიწყდება, რომ ამერიკისა და საბჭოთა კავშირის მოლაპარაკების თანახმად, მხოლოდ ბალტიისპირეთს დათმობდა სსრკ, — თქვა ნემო ბურჭულაძემ, — ზვიადს გარემოცვა არ უვარგოდაო, პოლიტიკა არ ესმოდაო, თავის დროზე „მერსედესსა" და კარგ პიჯაკებს გადააყოლეს, მაგრამ ასეთი წვრილმანები დავიწყებას მიეცემა და ისტორიაში დიდი ღირებულებები დარჩება.

პროფესორმა **მერაბ ჩუხუამ** კიდევ ერთხელ ილაპარაკა ქართულ-ჩეჩნურ ურთიერთობებზე და იმ მისიაზე, რაც საქართველოს ეკისრება კავკასიურ ერთა ოჯახში.

გამოცემაში ბევრი საინტერესო მასალაა თავმოყრილი გიორგი გაჩეჩილაძის, ირინე ტალიაშვილის, გურამ და რობერტ პეტრიაშვილების, ეთერ ხუბუას, ედემ კვირტიას და სხვათა ავტორობით. აქვე მოცემულია გამსახურდიას უკანასკნელი ინტერვიუ, რომელიც „ნოვაია ეჟედნევნაია გაზეტაში" გამოქვეყნდა 1994 წელს, სადაც ის ამბობს: „დღეს ჩვენთან მართალი ის არის, ვის უკანაც შეიარაღებული ხალხი დგას. ეს ყველამ იცის. საქართველოში ადამიანის სიცოცხლე რიყის ქვაზე იაფად ფასობს!"

**წარდგენაზე ითქვა, რომ ზვიადი ან უყვართ, ან სძულთ, მის მიმართ ნეიტრალური დამოკიდებულება არავის არა აქვსო. გაივლის წლები, მოვა თაობა, რომელიც ზვიად გამსახურდიას წიგნებიდან გაიცნობს. შესაძლოა, არც შესძულდეთ და არც შეუყვარდეთ, მაგრამ, ალბათ, ყველა შეთანხმდება იმაზე, რომ ის უდიდესი ადამიანი იყო, რომელმაც საკუთარ ერს პატრიოტული სულისკვეთება გაუღვივა და თავისუფლება არგუნა, რომელმაც მსოფლიო რუკა შეცვალა და ამისთვის საკუთარი სიცოცხლე გაიღო ზვარაკად.**

**მამაც ხომ ასე მოძღვრავდა!**

**თეა მოსია**

საქმე №2/1267-08

# სასამართლო სხდომის ოქმი

**ამონაწერი**

**15 აპრილი, 2009 წელი** **ქ. თბილისი**

**თბილისის საქალაქო სასამართლოს**
**სამოქალაქო საქმეთა კოლეგიამ**
**მოსამართლე: მაკა ჭედია**
**სხდომის მდივანი: მიხეილ ტყეშელაშვილი**

**განიხილა ტურფა კუხიანიძის სარჩელი აბრაამ მიხაელაშვილის მიმართ ზიანის ანაზღაურების შესახებ.**

**მოსამართლე აცხადებს**
**ადგილზე თათბირით მიღებულ**

**განჩინებას**

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის წარმოებაშია საქმე №2/1267-08 საქმე ტურფა კუხიანიძის სარჩელი აბრამ მიხაელაშვილის მიმართ ზიანის ანაზღაურების შესახებ.

სასამართლოს მიაჩნია, რომ მოპასუხე აბრაამ მიხაელაშვილს სასამართლოს მთავარი სხდომის დღის შესახებ უნდა ეცნობოს საჯარო შეტყობინების მეშვეობით შემდეგ გარემოებათა გამო:

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 78-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, თუ მხარის ადგილსამყოფელი უცნობია ან მისთვის სასამართლო უწყების ჩაბარება სხვაგვარად ვერ ხერხდება, სასამართლო უფლებამოსილია გამოიტანოს განჩინება სასამართლო შეტყობინების საჯაროდ გავრცელების შესახებ. საჯარო შეტყობინება ხორციელდება იმ გაზეთის საშუალებით, რომელიც მასობრივადაა გავრცელებული მხარის საცხოვრებელი ადგილის შესაბამის ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულში. ამ შემთხვევაში უწყება ჩაბარებულად ითვლება გაზეთში გამოქვეყნებიდან მე-7 დღეს.

მოსარჩელის მიერ მითითებულ მისამართზე მოპასუხე აბრაამ მიხაელაშვილს ჩაბარებული აქვს სარჩელი და თანდართული საბუთები, ხოლო იმავე მისამართზე გაგზავნილი სასამართლო უწყება არ ჩაბარდა აბრაამ მიხაელაშვილს.

სასამართლოში დაბრუნებულ უწყებაზე ჩაუბარებლობის მიზეზად აღნიშნულია, რომ აბრაამ მიხაელაშვილი იმყოფება ისრაელში.

ამდენად, მოპასუხე აბრაამ მიხაელაშვილის ადგილსამყოფელი დაუდგენელია და მას სხდომის დღის შესახებ უნდა ეცნობოს საჯარო პუბლიკაციის მეშვეობით.

სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 70-78-ე, 284-ე და 285-ე მუხლებით და

**დ ა ა დ გ ი ნ ა:**

1. მოპასუხე აბრაამ მიხაელაშვილს სასამართლო მთავარი სხდომის დროსა და ადგილის შესახებ ეცნობოს საჯარო შეტყობინებით;

2. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგია აბრაამ მიხაელაშვილს განჩინებით ატყობინებს შემდეგს:

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის წარმოებაშია №2/1267-08 საქმე ტურფა კუხიანიძის სარჩელი აბრაამ მიხაელაშვილის მიმართ ზიანის ანაზღაურების შესახებ.

აღნიშნულ საქმეზე მთავარი სხდომა დანიშნულია **2009 წლის 18 მაისს, 11 საათზე,** რომელიც ჩატარდება ქ. თბილისში, დ. ალმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ, №6, სხდომის დარბაზი №24.

აბრაამ მიხაელაშვილს განემარტოს:

ა) ასეთ შემთხვევაში სასამართლო უწყება კანონით დადგენილი წესით ჩაბარებულად ითვლება განჩინების გამოქვეყნებიდან მეშვიდე დღეს.

ბ) თუ სასამართლოს სხდომაზე არ გამოცხადდა მოსარჩელე ან მოპასუხე, რომლებსაც გაეგზავნათ შეტყობინება სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 70-78-ე მუხლებით დადგენილი წესით, სასამართლო უფლებამოსილია სამოქალაქო საპროცესო კოდექსის XXVI თავის საფუძველზე გამოიტანოს დაუსწრებელი გადაწყვეტილება, თუ სასამართლო სხდომაზე არ გამოცხადდა არც ერთი მხარე, რომლებსაც გაეგზავნათ შეტყობინება სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 70-78-ე მუხლებით დადგენილი წესით, სასამართლო გამოიტანს განჩინებას სარჩელის განუხილველად დატოვების შესახებ, რასაც უკავშირდება სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 276-ე და 278-ე მუხლებით გათვალისწინებული შედეგები.

გ) განჩინება გამოქვეყნდეს მოსარჩელის ხარჯით;

დ) განჩინებაზე კერძო საჩივარი არ დაიშვება.

მხარეებს განემარტათ სასამართლოს სხდომის ოქმში შენიშვნების შეტანის წესისა და ვადის შესახებ.

სასამართლო სხდომა დაიხურა.

**მოსამართლე მ. ჭედია**
**სხდომის მდივანი მ. ტყეშელაშვილი**

**განცხადება**

**2009 წლის 27 მაისს მოწვეულია სააქციო საზოგადოება „ხაშური-სამგზავროს" აქციონერთა საერთო კრება.**

**დღის წესრიგი:**

1. 2008 წლის საფინანსო-სამეურნეო შედეგების განხილვა;

2. აუდიტორის არჩევა.

აქციონერთა საერთო კრების საალრიცხვო დღეა 2009 წლის 8 აპრილი. აქციონერთა საერთო კრება გაიმართება ქ. ხაშურში, გორგასლის ქ. №32, 12 სთ-ზე.

**სს „ხაშური-სამგზავროს"**
**გენ. დირექტორი**
**შ. ჯიბუტი**

◉ კალათბურთი

# მაშ ასე: „ენერჯი" – „სასოფლო"



**სუპერლიგის ერთ-ერთი ფინალისტის ბედი, რაოდენ პარადოქსულიც არ უნდა იყოს, დასკვნითი შეხვედრის საფინალო სასტვენის შემდეგ კი არა, არამედ პლეი-ოფის მესამე მატჩის მესამე პერიოდში გაირკვა, როცა მოჭარბებული ემოციების გამოხატვისთვის მსაჯმა დავით ბერეკაშვილმა სარბიელიდან თსუ-ს წამყვანი მცველი შალვა კოხრეიძე გააძევა, რითაც იგი პარტნიორებს ავტომატურად სერიის უკანასკნელ ბრძოლაშიც გამოაკლდა.**

მოგეხსენებათ, ნუგზარ ჭეიშვილის გუნდს ალმა მატერის მესვეურთა გულგრილობის გამო საკადრო პრობლემები შუა სეზონიდან შეექმნა, კოხრეიძის დისკვალიფიკაცია კი მისთვის აუნაზღაურებელი დანაკლისი აღმოჩნდა: ეროვნული ჩემპიონატის აგრარიკოსმა დებიუტანტებმა მიხეილ კობეშავიძის თავკაცობით მეტოქის შეუპოვარი წინააღმდეგობის მიუხედავად მაინც მიაღწიეს საწადელს – 86:80, 90:86, დუელი 3:1 მოიგეს და შეეცდებიან ტიტული ქვეყნის მოქმედ ჩემპიონს რუსთავის „ენერჯი ინვესტს" ჩამოართვან, რომელმაც ასეთივე შედეგით გზიდან „ავიამშენი" ჩამოიცილა.

შეგახსენებთ, რომ ქვემოქართლელები წლეულს დაუმარცხებლად თამაშობდნენ, ასე რომ, მასპინძელთაგან მესამე პაექრობაში მოპოვებული გამარჯვება – 74:68 ერთგვარ წარმატებად შეგვიძლია მივიჩნიოთ. თუმცა, ხომ გაგიგონიათ, რა შეუძლია დაჭრილ მხეცს – თავმოყვარეობაშელახულმა დავით უსტიაშვილის შეგირდებმა კვირას ქვა ქვაზე არ დატოვეს თბილისელთაგან – 103:67 და ზედიზედ მეოთხედ უწიეს ფინალს. გადამწყვეტ ბატალიებში რუსთაველებს, როგორც რეგულარულ სეზონში საუკეთესოებს, საკუთარი მოედნის უპირატესობა მიენიჭებათ – იმ შემთხვევაში, თუ საერთო ანგარიში 2:2 იქნება, დამატებით შერკინებას „აზოტის" დარბაზი უმასპინძლებს, იქ გამარჯვება კი, როგორც გულშემატკივრებმა იციან, ნებისმიერი სტუმრისთვის დიდ პრობლემას წარმოადგენს.

**გია პლატონიშვილი**

◉ ჭიდაობა

# „თავისუფლების" 20 მედალი

**ბაქოში დამთავრდა თავისუფალი სტილით მოჭიდავეთა საერთაშორისო ტურნირი ჭაბუკებსა და ახალგაზრდებში. მედლებისთვის 15 ქვეყნის წარმომადგენლები იბრძოდნენ. წარმატებით იასპარეზეს ჩვენმა ბიჭებმა (მწვრთნელები – თამაზ ბენდიანიშვილი და ნუგზარ სხირელიძე – სხვადასხვა სინჯის 20 ჯილდო დაიმსახურეს.**

ჭაბუკებმა 10-დან 6 წონით კატეგორიაში ოქროს მედლები მოიპოვეს. კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე ავიდნენ ბექა ბუჯიაშვილი (42 კგძ, ლაშა ტალახაძე (46ძ, აკაკი მოწონელიძე (50ძ, ლევან ქელეხსაშვილი (58ძ, სანდრო ამინაშვილი (76ძ და ომარ გუსოშვილი (100ძ. მხოლოდ ფინალური პაექრობა დათმო და მეორე ადგილს დასჯერდა ბექა გოგრიჭიანი (63ძ. ბრინჯაოს მედლები ხვდათ ხვთისო იორამაშვილსა (42ძ და ზურაბ იაკობაშვილს (54ძ.

ახალგაზრდებში დავით მარსაგიშვილმა (84ძ და გიორგი საკანდელიძემ (მძიმე წონა) იყოჩაღეს – პირველი ადგილები დაიკავეს. მეორე ადგილებზე გავიდნენ ვლადიმერ ხინჩეგაშვილი (55ძ, დავით ხუციშვილი (74ძ და ელიზბარ ოდიკაძე (96ძ, ხოლო ლაშა ლომთაძე (50ძ, გიორგი მაყიშვილი (60ძ, მურთაზ კვესაძე (60ძ, ზაურ აბრამიშვილი (66ძ, ბექა ჭელიძე (84ძ და ოთარ უროტაძე (84ძ მესამე ადგილებით დაკმაყოფილდნენ.

ქართველი მოჭიდავეები კიდევ ორ საერთაშორისო ტურნირში იასპარეზებენ, მერე დასკვნით საწვრთნელ შეკრებას გაივლიან და ევროპის პირველობებში ჩაებმებიან. ახალგაზრდებში კონტინენტის პირველობას თბილისი 1-5 ივლისს უმასპინძლებს, ხოლო ჭაბუკები სერბეთში გამოცდიან ძალებს.



**გიორგი გაგუა**

**სურათზე: ბაქოს ტურნირის მედალოსნები მწვრთნელებთან. ავტორის ფოტო.**

◉ სტუდენტური ლიგა – 2009

# ბრძოლა სექტემბერში განახლდება

**საქართველოს საუნივერსიტეტო სპორტის ფედერაციამ სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა დეპარტამენტთან, დედაქალაქის მერიასთან და ფუტსალის ასოციაციასთან ერთად სპორტკომპლექს „ქარიშხალაში" საქართველოში აკრედიტებული უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტთა ტურნირის პირველი ეტაპი მოაწყო.**

შეხვედრებს საუკეთესო რვა გუნდი სექტემბრის მიწურულს ასეთი მონაგრით განაახლებს: ჭავჭავაძე – 9, თსუ, სამედიცინო, აგრარული – 6-6, სტუ – 4, შავი ზღვა, ქართულ-ევროპული, საავიაციო – 1-1 ქულა. სწორედ ამის შემდეგ გამოვლინდება ის უძლიერესი კვარტეტი, რომელიც პლეი-ოფში გამოარკვევს „სტუდენტური ლიგა – 2009"-ის გამარჯვებულის ვინაობას.



დავძენთ, რომ უკვე გამართული თამაშების მიხედვით დაკომპლექტდა სტუდენტური ნაკრები, რომელიც 7 მაისს 16 საათზე იქვე ამხანაგურ მატჩში საქართველოს ეროვნულ ნაკრებს შეხვდება.

◉ ევროლიგა

# „პანათინაიკოსი", ლიტველები და სხვა

**ევროლიგის „ოთხთა ფინალმა" ღირსეულად დააგვირგვინა საკალათბურთო ელიტის საკლუბო სეზონი – ბერლინის სპორტის სასახლეში შეკრებილი აუდიტორია დაუვიწყარი სანახაობებით დატკბა.**



**ნახევარფინალები**

**ცსკა – „ბარსელონა" 82:78**

კატალონიელთა ავსტრალიელი ვარსკვლავი ანდერსენი სამი პერიოდის განმავლობაში აწიოკებდა ყოფილ პარტნიორებს, მისი გუნდი კი მცირე უპირატესობას ინარჩუნებდა. აი, ამ დროს აფეთქდა შიშკაუსკასი – არმიელთა მიერ გადამწყვეტ მეოთხედში მოგროვებული 20 ქულიდან 18 (!ძ ლიტველმა სნაიპერმა მიითვალა. სწორედ მისმა ზღაპრულმა სამქულიანებმა გატეხა წელში „ბარსა".



**„პანათინაიკოსი" – „ოლიმპიაკოსი" 84:82**

უმძაფრესი ბერძნული ბრძოლის გმირადაც ლიტველი მოგვევლინა – იასიკიავიჩუსმა მაშინ იტვირთა ლიდერობა, როცა დუელის ბედი ბეწვზე იყო მოცული.

**ფინალი**

**„პანათინაიკოსი" – ცსკა 73:71**

ასეთი დრამატული მატჩის შესახებ რაც არ უნდა ვთქვათ, სრულყოფილად მაინც ვერ გადმოვცემთ მის მსვლელობაში განვითარებული მოვლენების არსს – იგი თავად უნდა იხილო.

გერმანიის დედაქალაქში შარშანწინდელი ისტორია განმეორდა – ბერძნებმა ამჯერადაც 2 ქულით სძლიეს ეტორე მესინას შეგირდებს, თუმცა მაშინდელისგან განსხვავებით, სპანულისმა, ფოცისმა, დიამანტიდისმა, ცარცარისმა, პერპეროღლუმ, იასიკიავიჩუსმა, ბატისტემ და კომპანიამ კინაღამ გაფლანგეს შესვენებამდე შექმნილი სოლიდური მარაგი (48:28ძ. საკმარისია აღინიშნოს, რომ პირველ ნახევარში მოსკოველებმა ერთი სამქულიანიც კი ვერ ჩააგდეს. მართალია, ლენგდონი, ჰოლდენი და შიშკაუსკასი ამის შემდეგ გამოფხიზლდნენ, მაგრამ უკვე დაგვიანებული იყო – უკანასკნელ წამზე საბედისწერო არაზუსტი ტყორცნა სწორედ ნახევარფინალის გმირმა შიშკაუსკასმა შეასრულა...

ეს გახლავთ „პანათინაიკოსის" მეხუთე და მისი თავკაცის ჟელკო ობრადოვიჩის მეშვიდე ევროპული ტრიუმფი.

**გიორგი შოთაძე**

◉ ფეხბურთი

# აქეთურ-იქითური

**XX ეროვნული ჩემპიონატი. XXX ტური.**

„მგლები" – „მესხეთი" 4:1, „ცხინვალი" – „ლოკომოტივი" 1:3, „სიონი" – „დინამო" 1:1, „ბორჯომი" – „ზესტაფონი" 1:3, „გაგრა" – „ოლიმპი" 0:1. ისვენებდა „ვიტ ჯორჯია".

**სატურნიროსმდგომარეობა:** „ვიტ ჯორჯია" – 62, „დინამო" – 59, „ოლიმპი" – 51, „ზესტაფონი" – 49, „სიონი" – 40, „ლოკომოტივი" – 34, „მგლები" – 33, „გაგრა" – 25, „მესხეთი" – 23, „ცხინვალი" – 22, „ბორჯომი" – 13 ქულა.

**შემდეგი ტური:** „დინამო" – „ვიტ ჯორჯია", „ზესტაფონი" – „გაგრა", „ლოკომოტივი" – „სიონი", „ოლიმპი" – „ცხინვალი", „მესხეთი" – „ბორჯომი". ისვენებს „მგლები".

* * *

**იტალია. XXXIV ტური.** „ინტერი" – „ლაციო" 2:0, „კატანია" – „მილანი" 0:2, „იუვენტუსი" – „ლეჩე" 2:2.

**ლიდერთა ჯგუფი:** „ინტერი" – 77, „მილანი" – 70, „იუვენტუსი" – 66 ქულა.

**ესპანეთი. XXXIV.** „რეალი" – „ბარსელონა" 2:6, „ვილიარეალი" – „სევილია" 0:2.

**ლიდერთა ჯგუფი:** „ბარსელონა" – 85, „რეალი" – 78, „სევილია" – 60 ქულა.

**ინგლისი. XXXV ტური.** „მიდლსბრო" – „მანჩესტერი" 0:2, „ლივერპული" – „ნიუკასლი" 3:0, „ჩელსი" – „ფულჰემი" 3:1.

**ლიდერთა ჯგუფი:** „მანჩესტერი" – 80, „ლივერპული" – 77, „ჩელსი" – 74 ქულა.



**გერმანია. XXX ტური.** „ვოლფსბურგი" – „ჰოფენჰაიმი" 4:0, „ბაიერნი" – „გლადბახი" 2:1, „ჰამბურგი" – „ჰერტა" 1:1.

**ლიდერთა ჯგუფი:** „ვოლფსბურგი" – 60, „ბაიერნი" – 57, „ჰერტა" – 56 ქულა.

◉ ინტერნეტიდან

# პირველი სტაიერი – ავარიაში

**როგორც კინგსტონიდან იტყობინებიან, იამაიკის დედაქალაქში მძლეოსნური ტურნირის წინ, სადაც სამგზის ოლიმპიურ ჩემპიონსა და მსოფლიო რეკორდსმენს უსეინ ბოლტს საზაფხულო სეზონი უნდა დაეწყო, სახელოვანი სპორტსმენი ავტოავარიაში მოხვდა. ჰოსპიტალში სამსაათიანი შემოწმების შემდეგ ბოლტი შინ გაუშვეს, თუმცა შეჯიბრებებში მონაწილეობაზე უარი თქვა.**

შესანიშნავ სპორტსმენს აწუხებს მარცხენა ტერფი, რომელიც მან დაიზიანა ავარიის შემდეგ მანქანიდან გადმოყვანის დროს – ფეხი დაადგა ეკალს.



ავარიის მიზეზად ასახელებენ წვიმით დასველებულ ასფალტს. გეგმის მიხედვით ბოლტის შემდეგი გამოსვლა უნდა შედგეს მანჩესტერში 17 მაისს 150 მეტრზე სირბილით.

**უკვდავება**

# ჰამლეტ გონაშვილის საღამო დედოფლისწყაროში



**ქართული ხელოვნების ნამდვილ ზეიმად იქცა დედოფლისწყაროს კულტურის სახლის დიდ საკონცერტო დარბაზში გამართული ჰამლეტ გონაშვილის ხსოვნის საღამო.**

კულტურის ამ შესანიშნავ კერაში გაცოცხლდა ჰამლეტ გონაშვილი თავისი ვირტუოზული ხმით და კიდევ ერთხელ მოაჯადოვა მსმენელი. ეკრანზე ერთმანეთს ენაცვლებოდა მისი ცხოვრების ამსახველი ფოტოკადრები.

ხსოვნის საღამოში მონაწილეობდნენ დედოფლისწყაროს კულტურის სახლთან არსებული ფოლკლორული ანსამბლები „ხორნაბუჯი“ და „ქიზიყი“, სპეციალური მოწვევით – ანსამბლი „რუსთავი“.

საინტერესო მოგონებებით გამოვიდნენ ანზორ ერქომაიშვილი, რამინ მიქაბერიძე, თემურ ჩალაბაშვილი, მაყვალა გონაშვილი, მარინა ცხვედიაშვილი, ჰამლეტის მეუღლე ლამარა ცინციბაძე, მომღერლის და ჯულიეტა გონაშვილი, გონაშვილების საგვარეულოს წარმომადგენელი ბეჟან გონაშვილი, რომელიც იმ საღამოს ერთ-ერთი ინიციატორი იყო.

ხსოვნის საღამოს საინტერესოდ უძღვებოდა თეატრთმცოდნე ცარო მარტიაშვილი.

ხსოვნის საღამოს ესწრებოდა კახეთის მხარის გუბერნატორი გიორგი ღვინიაშვილი, რომელმაც გულწრფელად თქვა: ლეგენდარული მომღერლის ხსოვნის საღამო კახეთის მხარის ყველა რაიონმა უნდა აღნიშნოს, რადგანაც მისი სიმღერები, მისი ხმა ადამიანთა გულებს სალბუნად ედება და სიცოცხლის რწმენას მატებს.

**ნანა ჭიჭინაძე**

**ახალი ნომერი**

# ვისაც ლიტერატურა უყვარს...

**გამოვიდა ჟურნალ „მწერლობა-XXI“-ის მე-5 ნომერი (მთავარი რედაქტორი ლაშა გვასალიაძ.**

რუბრიკით „პროზა“ წარმოდგენილია ნუგზარ შატაიძის, ლაშა გვასალიას, რევაზ ურუშაძის ნოველები. „პოეზია“ გვთავაზობს თემურ შავლაძის, ირინე ტალიაშვილის, გერმანე ფაცაციას ლექსებს, ხოლო „ხიბლი ერთი ლექსისა“ – ნონა გიორგაძის „გემუდარები, მომიყევი, ზღაპრები დაჩის!“ ნინო ჩხიკვიშვილის წერილი „პოეტი მისტიკოსი“ დიმიტრი წიკლაურის შემოქმედებას აანალიზებს.



რუბრიკით „კულტურის ფილოსოფია“ გაეცნობით მიხეილ მახარაძის „კიდევ ერთხელ Nomo faber“-ზე, ირაკლი კალანდიას ნაშრომს: „კულტურა, ხელოვნება, შემოქმედება“; „ხელოვნების ფილოსოფია“ კი წარმოგიდგენთ კახა ქეცბაიას წერილს „ნიცშეს საღამო თბილისში“, აკაკი ყულიჯანიშვილის ნაშრომს „ხელოვანის წარმომადგენლობის საკითხისთვის“.

ტერენტი გრანელის ცხოვრებასა და შემოქმედებას ასახავს მამანტი როგავას ესე „ტერენტი გრანელი“. აქვე გაეცნობით მანანა ტაბიძის რეცენზიას ნოდარ ჯალაღონიას შემოქმედებაზე.

„მე ჟურნალისტიც ვარ და მწერალიც“, – გაბრიელ გარსია მარკესთან გახმაურებული ინტერვიუს თარგმანს გთავაზობთ ნანა გვასალია.

„თარგმანი“ წარმოგიდგენთ კავაბატა იასუნარის „მშვილდის უბეს“, ძველი იაპონური პოეზიის ირმა რატიანისეულ თარგმანებს.

რუბრიკით „რეკვიემი“ გამოქვეყნებულია ლაშა გვასალიას წერილი ნუგზარ შატაიძეზე.

„მწერლობა-XXI“ ახალი ნომერი გაფორმებულია ღვთისო ბიკაშვილის ნახატებით. გარეკანის ბოლო გვერდს ამშვენებს მანანა ჩიტიშვილის ლექსი „შაშვი“, ხოლო ჟურნალის მწრამსს ვაჟა-ფშაველას „მხედართა ძველი სიმღერა“ გამოხატავს. სწორედ ამ ლექსით იხსნება „მწერლობა-XXI“ ახალი ნომერი.

**ნატა ნიბლაძე**

**გახსენება**

# ვარვარა (ბარბალე) გრიგალაშვილი

ორმოცი დღეა, რაც ჩვენს შორის აღარ არის ღირსეული მამულიშვილი, თვალსაჩინო სახელმწიფო და საზოგადო მოღვაწე ქალბატონი ვარვარა (ბარბალე) გრიგალაშვილი.

მან მთელი თავისი ცხოვრებით დაამტკიცა, რომ საქმისადმი ერთგულება, მაღალი პასუხისმგებლობა და ზნეობრივი ფასეულობების პატივისცემა ყველაზე ძლიერი საფუძველია პიროვნების შემოქმედებითი აღმავლობისათვის.



საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის წარჩინებით დამთავრების შემდეგ თბილისის ჩარხმშენებელ ქარხანაში ინჟინერ-ტექნოლოგად, სულ რაღაც 3 წლის მუშაობის განმავლობაში, მან თავი გამოიჩინა, როგორც უნარიანმა, კომუნიკაბელურმა სპეციალისტმა, რამაც განაპირობა ჯერ თბილისის ზუსტი ხელსაწყოების ქარხნის, ხოლო სულ მალე, საქართველოს მინანქრიანი ჭურჭლის ქარხნის დირექტორად დანიშვნა.

ქარხანაში ნებისმიერი პრობლემის განხილვისას ხელმძღვანელობდა პროფესიონალური, ადამიანური, ზნეობრივი ღირებულებებით. ამიტომაც მან მოკლე ხანში კოლექტივის საყოველთაო სიყვარული და პატივისცემა დაიმსახურა, რაც სიცოცხლის ბოლომდე გაჰყვა.

ამ სიყვარულის შედეგი იყო ის, რომ ამ ქარხების კოლექტივები, ახალგაზრდა დირექტორის თავკაცობით, წარმატებითართმევდნენ თავს სახელმწიფო დავალებებს და თავის სიტყვას ამბობდნენ ახალი ტექნიკისა და ტექნოლოგიების ათვისების საქმეში.

შემდეგ იყო ურთულესი მუშაობა საბჭოთა და პარტიულ ორგანოებში ხელმძღვანელ თანამდებობებზე. მაგრამ არც ძალაუფლებას და არც პოლიტიკურ ამბიციებს იგი არ შეუცვლია, მუშაობდა თავდაუზოგავად, შემართებით.

მას გააჩნდა ადამიანების სიყვარულის უნიკალური ნიჭი, თითოეულ მათგანში ცდილობდა აღმოეჩინა დადებითი მუხტი და გზა მიეცა მისი ხორცშესხმისათვის.

ყველას წარმატებით ხარობდა, განსაკუთრებით ახალგაზრდობის მიმართ არ იყო გულგრილი. ამიტომაც მის გვერდით ყველა ასაკის ადამიანი კომფორტულად გრძნობდა თავს და მასში საიმედო პარტნიორს ხედავდა. მისმა ამ თვისებებმა განაპირობა სწორედ ბევრი სასიკეთო თაოსნობის წამოწყება და განხორციელება სახელმწიფო მშენებლობაში.

თავდადებული შრომისა და მაღალი პროფესიონალიზმისათვის ქ-ნ ვარვარა დაჯილდოებული იქნა სახელმწიფოს მრავალი ორდენითა და მედლით, და რაც მთავარია, ხალხის სიყვარულით.

რაოდენ დასანანია, რომ ცხოვრების მიმწუხრს იგი ულმობლად გატყდა წელში თავისი უსათნოესი ქალიშვილის ტრაგიკული აღსასრულის გამო.

მართალია, მის გვერდით იდგნენ ერთგული მეუღლე, შესანიშნავი ვაჟიშვილისა და სიძის ოჯახები, მრავალრიცხოვანი გულშემატკივარი, მაგრამ ამ მძიმე სევდას ეულად ატარებდა და მიისწრაფოდა იმ სოფელში – თავის ქალიშვილთან.

აკი აუსრულდა ნატვრა!

ნათელში იყოს მათი სულები!

კოლეგები და მეგობრები.

**სულთათანა**

# ამირან (ბუსხო) კერძაია

**დღეს 40 დღე შესრულდა, რაც ჩვენგან წავიდა კიდევ ერთი ნაღდი ქალაქელი, კაცური კაცი. დააკლდა ქვეყანას, ოჯახს და დიდ საძმაკაცოს. სამეგობროს, რომლის მადლი უკანასკნელ წუთამდე თავს დასტრიალებდა მისი უახლოესი ძმაკაცის ბიჭიკო აბდუშელიშვილის სახით, რომელმაც უკვე სასიკ-**



**ვდილოდ განწირული საკუთარ კლინიკაში მიიყვანა. ალბათ სიმბოლურია, რომ ბუსხოს 40 ბიჭიკოს დაბადების დღეს დაემთხვა.**

**„ოი, რა საშინელია სიკვდილი ლოგინში“, უთქვამს პოეტს. თუმცა მთავარი საშინელება 3-წლის წინათ მოხდა, როცა ბუსხომ ერთადერთი ვაჟკაცი ოთარი დაკარგა მეტად საეჭვო ვითარებაში. მაშინ დამთავრდა მისი ცხოვრება, ხოლო დარჩენილი სიცოცხლე, უგემური არსებობა იყო შვილმკვდარი მამისა.**

**დღეიდან საიქიოს სრულუფლებიანი ბინადარი გახდა და იქ დაივანებს სამუდამოდ საფიცარ შვილთან ერთად, სადაც მართალნი განისვენებენ, შვილთან, რომელზეც მწუხარებამ, სევდამ მოიდნო ამირან (ბუსხო) კერძაია.**

**ი. ჟორდანიას სახ. ადამიანის რეპროდუქციის ს/კ ინსტიტუტის თანამშრომლები ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა ინსტიტუტის დირექტორის მოადგილის ლიკა ნადარეიშვილის ვაჟი**

**ირაკლი ნადარეიშვილი**

**და თანაგრძნობას უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.**

---

**გია სვანიძე ოჯახით სამძიმარს უცხადებს ლიკა და აკაკი ნადარეიშვილებს შვილის**

**ირაკლი ნადარეიშვილის**

**გარდაცვალების გამო.**

---

**ბიძა გივი კვიჭიძე, ბიცოლა ქეთევან გოგუაძე, ბიძაშვილები ნანა, მანანა, მაია კვიჭიძეები, სიძეები აკაკი ვაშაკიძე, დავით გვრიტიშვილი, მამიდაშვილები დოდო, ოთარ, ვახტანგ პირველები ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა**

**ვლადიმერ მიხეილის ძე კვიჭიძე.**

---

**ჯემალ გაგუნაშვილი ოჯახით თანაგრძნობას უცხადებს უახლოეს მეგობარს გივი კვიჭიძეს ძმისწულის**

**ლადო კვიჭიძის**

**გარდაცვალების გამო და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.**

---

**თბილისის მოსწავლე ახალგაზრდობის ეროვნული სასახლის პედაგოგიური კოლექტივი ღრმა მწუხარებას გამოთქვამს ქეთინო კალანდაძის მეუღლის**

**სულიკო კალანდაძის**

**გარდაცვალების გამო და თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახს.**

---

**ს/ს ჰემატოლოგიისა და ტრანსფუზიოლოგიის ს/კ ინსტიტუტის თანამშრომლები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა ინსტიტუტის ექიმი ტრანსფუზიოლოგი**

**თამარ ვარდოსანიძე**

**და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს.**

**ცხადდება „უნივერსალური ბაზა შპს იმერეთის“ ლიკვიდაცია (მდებარე ქ. ქუთაისში, ჭავჭავაძის №53აძ**

**ლიკვიდატორი: თამაზ სანიკიძე**

დაინტერესებულმა პირებმა დაგვიკავშირდით შემდეგ მისამართზე:

**ქ. ქუთაისი, ჭავჭავაძის 53ა. ტელეფონი 897 456116.**

**ცხადდება სს ქუთაისის „ხის დამამუშავებელი კომბინატის“ ლიკვიდაცია (მდებარე ქ. ქუთაისი ი. აბაშიძის №21აძ.**

**ლიკვიდატორი: ავთანდილ ასათიანი**

დაინტერესებულმა პირებმა დაგვიკავშირდით შემდეგ მისამართზე:

**ქ. ქუთაისი, ი. აბაშიძის 21ა. ტელეფონი 899 417120**

**2009 წლის 27 მაისს 12 საათზე, ჩატარდება სს „ვაზიანის“ აქციონერთა საერთო კრება. მისამართი: ქ. თბილისი, ახვლედიანის ჩიხი, 8.**

**დღის წესრიგი:**

1. 2008 წლის წლიური ანგარიშის განხილვა და დამტკიცება;
2. აუდიტის ხელშეკრულების გაგრძელება;
3. სამეთვალყურეო საბჭოს წევრთა არჩევა.

**სს „ვაზიანის“ სამეთვალყურეო საბჭო.**

**განცხადება**

**სააქციო საზოგადოება „გ.ტ.ს. ქარხნის“ ადმინისტრაცია გაცნობებთ, რომ თბილისში 2009 წლის 29 ივნისს წერეთლის გამზ. №112-ში, 13 საათზე, IV სართულზე გაიმართება საზოგადოების აქციონერთა საერთო კრება.**

**დღის წესრიგი:**

სს „გ.ტ.ს. ქარხნის“ რეორგანიზაცია ნატურით გაყოფის გზით.

რეორგანიზაციისას ნატურით გაყოფის გზით სს „გ.ტ.ს. ქარხანას“ გამოეყოფა 5 იურიდიული პირი შპს-ების სახით, ხოლო სს „გ.ტ.ს. ქარხანა“ გააგრძელებს ფუნქციონირებას. ამასთან, ნატურით გაყოფის გზით წარმოქმნილი ორგანიზაციები სოლიდარულად აგებენ პასუხს თავდაპირველი საწარმოს რეორგანიზაციამდე ვალდებულებებზე.

**სს „გ.ტ.ს. ქარხნის“ ადმინისტრაცია**

# დავუბრუნოთ ბავშვები ოჯახებს!

ძვირფასო მკითხველო! გააგზავნეთ სმს „ჯეოსელიდან", „მაგთიდან", „ბილაინიდან" ნომერზე 30-30 და 1 ლარით ყოველთვიურად დაეხმარებით მზრუნველობამოკლებულ ბავშვებს.

ერთჯერადი დახმარებისთვის დარეკეთ ნომერზე 30-30 და ფონდ „იავნანას" ანგარიშზე ავტომატურად ჩაირიცხება 1 ლარი.



თუ გვსურს,
ქვეყნად
სიყვარული დავნერგოთ,
თუ გვსურს,
ზურგი შევაქციოთ
ჩარჩობას,
30-30 დავრეკოთ,
საწყალ ბავშვებს
დავუბრუნოთ
ბავშვობა.

ჯანსუღ ჩარკვიანი

ფონდი „იავნანა"

## ინფორმაცია

### მიკროავტობუსების მძღოლები გაფიცვას აპირებენ

როგორც კახეთის საინფორმაციო ცენტრისთვის გახდა ცნობილი, კახეთის ქალაქებსა და სოფლებს შორის მოძრავი მიკროავტობუსების მძღოლები ამ დღეებში გაფიცვას გეგმავენ.

მათი თქმით, იქიდან გამომდინარე, რომ ტაქსებს ლიცენზიას და მანქანის ტექნიკურ შემოწმებას არავინ სთხოვს და ისინი არც რაიმე გადასახადს იხდიან, მგზავრებს ავტოსადგურების მიერ დაწესებულ გადასახადზე დაბალ ფასში ემსახურებიან. გარდა ამისა, იქ, სადაც საპატრულო პოლიცია მიკროავტობუსებს გაჩერებას უკრძალავს და მოთხოვნის შეუსრულებლობის შემთხვევაში აჯარიმებს, თავისუფლად ჩერდებიან მსუბუქი მანქანები. მიკროავტობუსების მძღოლები აცხადებენ, რომ ტაქსებთან არათანაბარ პირობებში იმყოფებიან. მათივე თქმით, დახმარებისათვის არაერთხელ მიმართეს ადგილობრივ გამგეობებს, მაგრამ უშედეგოდ.

რამდენიმე მიმართულებით მიკროავტობუსების მძღოლებმა მუშაობაზე გუშინდლიდან თქვეს უარი. გაფიცვას კი ხვალიდან აპირებენ.

### დამხრჩვალი გოგონას ცხედარს უშედეგოდ ეძებენ

აბასთუმანში მაშველები 10 წლის მარიამ ბერიძის ცხედარს მდინარეში ისევ უშედეგოდ ეძებენ.

გოგონა მდინარეში ორი დღის წინათ ჩავარდა. მარიამ ბერიძეს თან მეგობარი ახლდა, რომელიც მის დახმარებას შეეცადა, თუმცა უშედეგოდ.

მაშველების მუშაობას მდინარის სწრაფი დინება ართულებს.

ჯი-ეიჩ-ენი

## დაიჯესტი

### მსახიობები „გაიაფდნენ"

**რუსეთულ შოუ-ბიზნესში ბოლოდროინდელი ყველაზე დიდი სენსაცია ის არის, რომ კინოსა და ტელევიზიის მსახიობებს ჰონორარები შეუმცირეს. ახლა ვარსკვლავების მაქსიმალური ფსონი დღეში 82 ათასი რუბლია, ანუ 3,5-ჯერ ნაკლები, ვიდრე კრიზისამდე.**

— ტელე-და კინოპროდიუსერთა ასოციაცია მართლაც გამოვიდა ჰონორარების შემცირების ინიციატივით, — განაცხადა კინორეჟისორმა ნიკიტა მიხალკოვმა. — მისი მიზანია, მოაწესრიგოს ყველაფრის ფასები, რაც კი ტელე-და კინოპროდუქციის წარმოებასთანაა დაკავშირებული. ეს სავსებით კანონზომიერი ნაბიჯია იმის გათვალისწინებით, რომ ტელეარხები სერიალების, სხვადასხვა პროგრამებისა და ტელე-და კინოფილმების დემონსტრირებაში ახლა 40-50 პროცენტით ნაკლებს იხდიან, — დასძინა მან.



### ქვირფას ბუდეში ჩასმული

**ისლანდიის სამხრეთით მდებარე 14 კუნძულიდან, 30 კლდისგან და ამდენივე შხერისგან შემდგარ არქიპელაგზე ზუსტად 4040 კაცი ცხოვრობს.** თანაც ყველანი კუნძულ ჰეიმაეიზე სახლობენ, რომელიც არქიპელაგის ერთადერთი დასახლებული ადგილია. გარე სამყაროდან ამ უკიდურესი მოწყვეტილობის მიუხედავად, ზოგიერთი განსაკუთრებული ინდივიდუალისტი ამ ექსტრემალურ ვითარებაშიც კი განმარტოებას ცდილობს და ზაფხულობით შორეულ ფერმებში გადადის საცხოვრებლად, სადაც მიწათმოქმედებასა და მეცხოველეობას მისდევს.



ფოტოზეც სწორედ ერთ-ერთი ასეთი განცალკევებული ფერმაა აღბეჭდილი, რომელიც ჩრდილოეთის კუტი, თუმცა ულამაზესი ბუნების ბუდეშია ჩასმული.



### სახიფათო „კოქტეილი"

**ნორვეგიელ მედიკოსთა მტკიცებით, კოდეინიანი აბის მიღების შემდეგ მძღოლს ავტოსაგზაო შემთხვევის ხიფათი უორმაგდება. კოდეინი — ესაა ოპიატების ჯგუფის ტკივილგამაყუჩებელი ნივთიერება, რომელიც მრავალი წამლის შემადგენლობაში შედის.** მეცნიერები 33 თვის მანძილზე სწავლობდნენ ავტოავარიებისა და სამედიცინო მიზნით კოდეინის მოხმარებას შორის კავშირს. გამოკითხეს თითქმის 100 ათასი მძღოლი და აღმოჩნდა, რომ საავტომობილო კატასტროფათა რისკი ორჯერ მატულობდა, როცა მძღოლები კოდეინს იღებდნენ. თურმე მათთვის, ვინც წელიწადში 400-ზე მეტ აბს იღებდა, საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევის ალბათობა სამჯერ იზრდებოდა.

კოდეინის სედატური ეფექტი მძღოლის გონებასა და ყურადღების კონცენტრირების უნარზე, ასევე ორგანიზმზე ნარკოტიკულ ზემოქმედებას ახდენს. ექიმთა აზრით, მნიშვნელოვანია ისიც, რომ მრავალი პაციენტი, რომლებიც გარდა იმისა, რომ კოდეინის საფუძველზე დამზადებულ წამლებს იღებენ, ძილისა და კუნთების მოსადუნებელ წამლებსაც ღებულობენ, ხოლო წამლების ასეთი „კოქტეილი" მეტად სახიფათოა.

### ვილი – გადამრჩენელი

**ამერიკის ქალაქ დენვერში (კოლორადოს შტატი) კვაკერის ჯიშის თუთიყუში პატარა გოგონას სიცოცხლის გადარჩენისთვის... დააჯილდოვეს.**



ფრინველის მეპატრონე სამი წლის ჰანას ძიძაა და თუთიყუში ვილი სამსახურში მუდამ თან დაჰყავს. ერთხელ ძიძამ პატარა გოგონას თეფშით საჭმელი მიუტანა, თვითონ კი ოთახიდან გავიდა. ბავშვმა ჭამა დაიწყო, ლუკმა ყელზე დაადგა და ლამის გაიგუდა. ამასობაში ვილიმ ნამდვილი პანიკა ატეხა, ფრთების ქნევა დაიწყო და ყვირილი ატეხა: „დედა, ბეზი!" ძიძამ ფრინველის ხმაურზე ოთახში შემოირბინა და ბავშვს სულზე მიუსწრო.

„ვილი ჭეშმარიტი გმირია, — თქვა ძიძამ თუთიყუშის დაჯილდოების ცერემონიაზე, — იგი ყოველთვის გამოირჩეოდა საზრიანობით".

უცხოური პრესის მიხედვით

რეკლამა კოსტავას 12
„საქართველოს რესპუბლიკაში"
98-65-87; 899 32-85-76.

## ანეკდოტები

— მამაო, — ეუბნება პეტკა მღვდელს, — რამდენადაც ვიცი, ყოველივე მიწიერი ზეციურის ანარეკლია, ჩვენი ომებიც სხვა არაფერია, თუ არა ადამთან ზეციურის ბრძოლის ანარეკლი.

— ყველაფერი სწორია, შვილო ჩემო, ყველაფერი სწორედ ასეა.

— მაშინ ვერ გამიგია, ვისი ვალი აქვს ამდენი უფალს, რომ მიწაზე ფინანსური კრიზისი დაიწყო?

* * *



როდესაც უფროსი სამსახურიდან საღამოს ათ საათზე გირეკავს და „საღამო მშვიდობისაო" გეუბნება, რატომღაც ზურგის ტვინით გრძნობ, რომ სულაც არა გაქვს საქმე სამშვიდობოდ.

* * *

კრიზისია ის, როდესაც ელექტროენერგიის დაზოგვის მიზნით მობილურ ტელეფონს სამსახურში ტენი.

* * *

პროდიუსერი დამწყებ მომღერალ გოგოს ეუბნება:

— თუ გინდა, რომ ვარსკვლავი გახდე, შენ უნდა გაიარო, რა ქვია იმას, იმის გავლით... მოკლედ, სიმართლე თუ გინდა, შენი გავლით უნდა გაიარონ.

## კადრი



საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
კოსტავას ქ. № 12.

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის" გამომცემელი" (დავით აღმაშენებლის 150. ტ: 899 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნე"
იბეჭდება „კოლორში" (რკინიგზის ჩიხი, № 20)

მთავარი რედაქტორი ალეკო ასლანიშვილი
98-65-87; 899 56-81-86

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი 899 53-76-16;
რუსლან რუსია 899 17-21-21;
სპარტაკ ძოწულია 899 36-00-35
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე 899 74-90- 07

ინდექსი 66434
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას.